171
1976

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

1

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ი ა ნ ვ ა რ ი

თბილისი 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ჭურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/III-76 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.

შეკვ. № 215 უე—04063 ტირაჟი 5.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11.
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,
ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 1065

სკოლის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო დადგენილებათა შესრულების შესახებ საჩხერის რაიონში

როგორც სკოლების სამმართველოს ბრიგადის შემოწმების მასალებით ირკვევა, საჩხერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ერთგვარი მუშაობა ჩაუტარებია სკოლის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალურ კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების პრაქტიკაში განსახორციელებლად. კერძოდ, აშენდა და კეთილმოეწყო არგვეთის, კორბოულის 1-ლი, საირხის, ქორეთის, არგვეთის საშუალო, სავანის, ორღულის 8 წლიანი სკოლები. თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით შეივსო კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნოები, ერთგვარად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

მიუხედავად ამისა, რაიონის განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მუშაობაში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი:

რაიონის ბევრ სკოლას მუშაობა უხდება ავარიულ და შეგუებულ შენობებში. საჩხერის სამივე სკოლაში, სხვიტორის, ჩიხის საშუალო, მახათაურის 8 წლიან სკოლებში არავითარი პირობა არ არსებობს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვისათვის. მოსწავლეებს მეცადინეობა უხდებათ ბნელ და უჰაერო ოთახებში, ხელოვნური განათების პირობებში, სადაც სასწავლო თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება თითქმის შეუძლებელია.

საჩხერის რაიონში ძალზე სუსტად არის განვითარებული სასკოლო ინტერნატების ქსელი მაშინ, როცა ბევრ სკოლაში მოსწავლეები

5 და მეტი კილომეტრით დაშორებული სოფლებიდან (ბავ-
ლითად: ცხომარეთის დამოუკიდებელ დაწყებით სკოლაში 6—8 წლის
ასაკის ბავშვებს 5 კმ, ხოლო მოხვის 8 წლიანი სკოლის
მოსწავლეს კი 20 კმ-ზე შორი მანძილის გავლა უხდება სკოლამდე).

ბევრ სკოლაში მოუგვარებელია გახანგრძლივებული დღის ჯგუ-
ფების მუშაობა. მოგვარებას მოითხოვს სასკოლო ბუფეტების კვების
პროდუქტებით მომარაგების საკითხი.

რაიონში აშკარად მოსაგვარებელია სკოლის ხელმძღვანელი კად-
რების შერჩევისა და განაწილების საქმე, საჩხერის რაიონის 15 საშუ-
ალო და 8 წლიან სკოლაში დირექტორი და მისი მოადგილეები ერ-
თიდაიგივე ან მონათესავე საგნების სპეციალისტები არიან, რაც შეუძ-
ლებელს ხდის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სრულყო-
ფილ კონტროლსა და დახმარებას (უფრო მეტი, აღნიშნული სკოლე-
ბის ხელმძღვანელთაგან 24 გეოგრაფი ან ისტორიკოსია). ნაკლოვანე-
ბებია სკოლების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საქმეშიც:
მერჯევის საშუალო სკოლაში ფიზკულტურას ასწავლის სპეციალო-
ბით ეკონომისტი ლ. იაკობაშვილი, ხოლო იტავაზის საშუალო სკო-
ლაში გერმანულ ენას წლების მანძილზე ასწავლის არასპეციალისტი
პენსიონერი მ. დეკანოიძე, როცა მის გვერდით გერმანული ენის სპე-
ციალისტი იძულებულია, რუსული ენის მასწავლებლად იმუშაოს.

სერიოზული ნაკლოვანებებია სხვადასხვა საგნის სწავლების საქ-
მეში. მასწავლებლები ც. ცუხიშვილი (ჩიხის საშუალო სკოლა), ნ. წიგ-
ნაძე, რ. ჭელიძე, ვ. მიქაძე, ნ. ფხალაძე (საირხის საშუალო სკოლა),
მ. დეკანოიძე (იტავაზის საშ. სკოლა), მ. მეგრელიშვილი, ს. კუპრა-
შვილი, ნ. მუკათარიძე (მახათაურის 8 წლიანი სკოლა), შ. მაჭავარი-
ანი (საჩხერის I საშ. სკოლა), ლ. იაკობაშვილი (მერჯევის საშ. სკო-
ლა), კ. კიპაროიძე (არგვეთის საშ. სკოლა) და სხვ. სერიოზული ხარ-
ვეზებით წარმართავენ მუშაობას, გაკვეთილებს ატარებენ დაბალ მეც-
ნიერულ და მეთოდურ დონეზე, სწავლების პროცესში არ იყენებენ
თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, არ იჩენენ
მუშაობაში სიახლის შეტანის სურვილსა და უნარს. აღნიშნულ გარე-
მოებათა გამო, მათი მოსწავლეები ვერ ავლენენ სათანადო ცოდნას,
ამჟღავნებენ სრულ უწიგნურობასა და სხვადასხვა დისციპლინაში
ელემენტარული საკითხების უცოდინარობას.

ნაკლოვანებებია კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდე-
ლობით, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშა-
ობაში. მათ ვერავითარ მეთოდურ დახმარებას ვერ უწევს რაიო

ნის პიონერთა სახლი (დირექტორი ნ. კომლაძე), რომლის მუშაკები გაუწევენ სკოლებში მისვლასა და მათ მასობრივ ღონისძიებებში ძალ-ნაწილეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სკოლებში სუსტად ტარდება მუშაობა მოსწავლეთა და მათ მშობელთა შორის ათეისტური აღზრდის მიზნით, წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად. მოხვის რვაწლიანი სკოლის ეზოში სასაფლაოა მოთავსებული და ბავშვები, ხშირად, ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამგლოვიარო რიტუალის შესრულების მოწმენი ხდებიან.

განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. კ. ნადირაძე):

—ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გადამჭრელი ღონისძიებანი გაატაროს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად, სკოლის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო დადგენილებათა ცხოვრებაში განსახორციელებლად;

—1976 წლის 1-ელ მაისამდე შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების გაუმჯობესებისა, განმტკიცების, სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობის, სკოლების ახლო მომავალში სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასაყვანად და სხვ;

—მიიღოს ქმედითი ზომები რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისათვის. ამ საქმეში მკაცრად იხელმძღვანელოს ზემდგომი ორგანოების სადირექტივო მითითებებით;

—გადამჭრელი ღონისძიებანი გაატაროს სკოლების ხელმძღვანელი კადრების განაწილებისა და ხარისხობრივი დონის ამაღლებისათვის. მიიღოს ზომები, რათა სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები იყვნენ სხვადასხვა ციკლის საგნების სპეციალისტები, რათა შესაძლებელი იყოს ეფექტური კონტროლი და დახმარება როგორც ჰუ-

მანიტარული, ისე მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისადმი;

—მიიღოს ზომები რაიონის სკოლების უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე პედაგოგიური კადრებით დასაკომპლექტებლად.

2. საჩხერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიურმა კაბინეტმა (გამგე ამხ. კ. ხოჯაშვილი);

—გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდიკური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად;

—გაატაროს გადამჭრელი ღონისძიებანი სწავლებაში ტექნიკური საშუალებების, თვალსაჩინოების დასანერგად, სწავლების თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების დასაუფლებლად;

—მიიღოს ზომები ფილმოტეკის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:

—გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი;

—სკოლაში მთელ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას საფუძვლად დაუდონ სკოლის წლიური სამუშაო და პედაგოგიური საბჭოს გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულ იქნება სკოლის ყოველდღიური მუშაობის შინაარსი;

—მიიღონ ზომები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი კანონის შესრულებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის წარმატებით დამთავრებისათვის; იბრძოლონ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენისა და აკადემიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ;

—სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები და მისი პედაგოგიურ-მეთოდურად გამართული ანალიზით ქმედითი დახმარება გაუწიონ საგნის მასწავლებლებს. გაკვეთილის ცხრილის შედგენისას აუცილებლად გაითვალისწინონ პედაგოგიური და მეთოდური პრინციპები;

—საგნის მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების მიზნით სისტემატურად დაესწრონ საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა სხდომებს. აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში;

—სრულ წესრიგში იქონიონ სასკოლო დოკუმენტაცია, მასწავლებლებს განუმარტონ მათი წარმოების წესი.

4. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებმა თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ სკოლის მუშაობის საერთო შინაარსიდან გამომდინარე, გონივრულად მოფიქ-

რებული გეგმა, რომელშიც, მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი, პატრიოტულ-ინტერნაციონალური, ათეისტური და ესთეტიკური აღზრდის საკითხების გვერდით, გათვალისწინებულ იქნება ბრძოლა ფარულის მავნე გადმონაშთების, კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და სხვათა წინააღმდეგ.

5. რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა (ამხ. ნ. კომლაძე):

—ძირეულად გარდაქმნას მუშაობა. უფრო ცოცხალი და შინაარსიანი გახადოს წრეების მუშაობა;

—სისტემატიურად სკოლებში მისვლით ქმედითი მეთოდური დახმარება გაუწიოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებს, უფროს პიონერხელმძღვანელებს, პიონერული და კომკავშირული კლასების ხელმძღვანელებს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეთა სასკოლო და სკოლისგარეშე მასობრივ ღონისძიებებში.

6. საგნის მასწავლებლებმა:

—იზრუნონ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და თეორიული მომზადებისათვის;

—სწავლების ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით სრულყონ სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი, აამაღლონ გაკვეთილების ეფექტურობა, შეაიარაღონ მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით. გაკვეთილის პროცესში სულ უფრო ფართოდ დანერგონ სწავლების მოწინავე ხერხები და მეთოდები, მინიმუმამდე დაიყვანონ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა.

7. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობის და საგნის დაბალ დონეზე სწავლებისათვის არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. კიპაროიძეს გამოეცხადოს საყვედური.

8. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში სუსტი ხელმძღვანელობისათვის მახათაურის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ო. იაშვილს, პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის დირექტორს ნ. კომლაძეს მიეთითოთ.

9. საგნის სუსტად სწავლებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო საჩხერის 1-ლი სამუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს შ. მაჭავარიანსა და მერჯევის საშუალო სკოლის ამავე საგ-

ნის მასწავლებელს ლ. იაკობაშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყ-
ვედური.

10. საგნის სწავლების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ჩიხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ც. ცუხიშვილს და საირხის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: რ. ჭელიძეს, ვ. მიქაძეს, ნ. ფხალაძეს, ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ნ. წიგნაძეს, მახათაურის 8 წლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ნ. მუკათარიძეს გამოეცხადოთ საყვედური.

11. საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის საჩხერის 1-ლი, ჩიხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს ვ. ქველაძესა და კ. მარგველაშვილს მიეთითოთ.

12. დაევალოს საჩხერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას (ამხ. კ. ნადირაძეს):

ა) განიხილოს პენსიონერი მასწავლებლების თ. ღულუნიშვილის (საირხის საშ. სკოლა), მ. დეკანოიძის (იტავაზის საშ. სკოლა), ს. კუბრაშვილისა და ს. აბუთიძის (მახათაურის 8-წლიანი სკოლა) საკითხი და ვინაიდან მათ არ ძალუძთ, დაძლიონ ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლების სიძნელენი, სასწავლო წლის ბოლოს, სათანადო წესის დაცვით, დაითხოვოს სამუშაოდან;

ბ) 1976 წლის 1-ლ მაისამდე მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად და ბრიკადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

13. ეს ბრძანება და მოხსენებითი ბარათი სახალხო განათლების საბჭოსა და სკოლებში განსახილველად და მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებების შესამუშავებლად გადაეგზავნოს საჩხერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს.

14. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკი).

საფუძველი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ამხ. თ. ლაშქარაშვილს

მოხსენებითი ბარათი

სკოლის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მოქმედებანი დადგენილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ საჩხერის რაიონში

მიმდინარე წლის 10-დან 17 ნოემბრამდე განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადამ, განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების ე. ქურციკიძის (ხელმძღვანელი), ნ. გიორგობიანის, თ. მელქაძის, მ. დევდარიანის, ნ. ახვლედიანის, გ. გიორგობიანის, სამინისტროს სტატისტიკური განყოფილების უფროსის ი. უგულავას, სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტების თ. ავალიშვილის, ნ. ბენდიანიშვილის, ლ. ჯანიაშვილისა და მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ცენტრის მეთოდისტის ზ. ოდიშარიას შემადგენლობით, შეისწავლა სახალხო განათლების მდგომარეობა საჩხერის რაიონში. შემოწმებულ იქნა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა საჩხერის 1-ლ, მე-2 და მე-3, არგვეთის, ჩიხის, საირხის, მერჯევის საშუალო, მახათაურის, სავანის, იტავაზის რვაწლიან, მერჯევის დაწყებით სკოლებში, აგრეთვე საჩხერის პიონერთა სახლში.

ბრიგადა თავის მუშაობაში მიზნად ისახავდა, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების პარალელურად, შეისწავლა, როგორ სრულდება რაიონში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის დადგენილება „სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რა მდგომარეობაა განათლების განყოფილებისა და სკოლების კადრებით დაკომპლექტების საქმეში, როგორ სრულდება საყოველთაო სწავლების კანონი და სხვ.

სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანებების [illegible] ლებლად საჩხერის რაიონში. გარკვეული მუშაობაა ჩატარებული. კერძოდ: უკანასკნელ წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ბევრი სასკოლო შენობა; მათ შორის სავანის 8-წლიანი სკოლისა და არგვეთის საშუალო სკოლის შენობები, კარგ მდგომარეობაშია ქორეთის, საჩხერის მე-3 და სხვა სკოლები, სადაც სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის პირობებია შექმნილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრგან სასწავლო-მატერიალური ბაზა მინიმალურად ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ბევრი სკოლა მოთავსებულია სწავლებისათვის შეუფერებელ, ავარიულ ან შეგუებულ შენობებში, სადაც სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვა ყოვლად შეუძლებელია. ასეთ სასკოლო შენობებშია მოთავსებული მერჯევის, ჩიხის, სხვიტორის, მოხვის, საჩხერის 1-ლი, მახათაურისა და სხვა სკოლები, სადაც ბაზის უკმარისობის გამო, არც ერთი ნორმალური სასწავლო კაბინეტი არ გააჩნიათ.

ძალზე მძიმე მდგომარეობაშია მახათაურის 8-წლიანი სკოლა. იგი ერთსართულიან ძველ შენობაშია მოთავსებული. იმის გამო, რომ ფართობი არ ყოფნით, კლასების ნაწილი მეურნეობის კლუბშია მოთავსებული, რომელიც სასკოლო შენობიდან დიდი მანძილით არის დაშორებული. საკლასო ოთახები იმდენად ბნელია, რომ მოსწავლეებს ხელოვნური განათების პირობებში უხდებათ მეცადინეობა. სკოლას არ გააჩნია ბუფეტი. მის მაგივრობას ასრულებს ხის ჯიხური, რომელშიც ძალზე დაძველებული და საჭმელად უკვე გამოუსადეგარი პროდუქტი აწყვია.

ავარიულ შენობაშია მოთავსებული სხვიტორის საშუალო სკოლა (მეფის გენერლის, სვ. წერეთლის ყოფილი ბინა). დერეფანში და ოთახებში იატაკი დაფუტურებული და დამპალია. სკოლაში კაბინეტურ სწავლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ფიზკულტურის დარბაზად სარდაფი არის გამოყენებული, რომლის შესასვლელში სახელოსნოა „გამართული“.

მოხვის 8-წლიანი სკოლა ორი ფიცრული სახლისაგან შედგება. საკლასო ოთახები და სასკოლო ინვენტარი თუმცა ძველია, მაგრამ ძალზე სუფთა და მოვლილია. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა უსიამოვნო ფაქტმა: სკოლის ეზოს ნაწილი სასაფლაოს უჭირავს და ბავშვები შესვენების დროს საფლავებს შორის დარბიან, მიუხედა-

ვად სკოლის ხელმძღვანელობის მრავალგზის ცდისა, სას ფლაოს სხვა-
გან გადატანა ადგილობრივი მოსახლეობის სიჯიუტის გამო ვერ
მოხერხდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადგილობრივი რელიეფური პირობების გამო ზოგიერთ სკოლა-
ში მისასვლელად მოსწავლეებს 25 კილომეტრამდე მანძილის გავლა
უწევთ, რაც ზამთარში წარმოუდგენლად ძნელია. საჭიროა საჩხერის
რაიონში ფართოდ გაიშალოს სასკოლო ინტერნატი ის მშენებლობა.

საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგან-
მანათლებლო სკოლებს უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა აქვთ
ჩატარებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქარ-
თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 5 სექტემბრის № 474
დადგენილების—„ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლე-
ბაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
შემდგომი განვითარების შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს შესაბამისი ბრძანებების შესასრულებლად. ამ მუშაობის
უშუალო შედეგია ის გარემოება, რომ საჩხერის რაიონმა შეასრულა
მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა. ყველა შემოწ-
მებულ სკოლაში კარგად წარმოებს სკოლიდან გასულ მოსწავლეთა
შემდგომი საქმიანობის აღრიცხვა და სხვ.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კა-
ნონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გა-
დასვლის დამთავრების საქმეში არსებობს ნაკლოვანებანი:

მერჯევის საშუალო სკოლის 39 კურსდამთავრებულიდან საზო-
გადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში არ არის ჩართული 4 ახალგაზ-
რდა, ჩიხის საშუალო სკოლის 1 რვაკლასდამთავრებული არც სწავ-
ლობს, არც მუშაობს, ხოლო ათკლასდამთავრებულთაგან უმუშევარია
12 ახალგაზრდა. ასევე, არ სწავლობს და არ მუშაობს სავანის 8-წლი-
ანი სკოლის 1 კურსდამთავრებული. გარდა ამისა, I—VIII კლასები-
დან განითესა 3 მოსწავლე (2 გათხოვდა, ხოლო 1 მოეწყო სამუშაო-
ზე), IX—X კლასებიდან განითესა 10—მოსწავლე (4 გაირიცხა უღირ-
სი საქციელისათვის, 2 გათხოვდა, 4 მოსწავლე კი სამუშაოზე მოეწ-
ყო). მიმდინარე სასწავლო წელს განათლების განყოფილების მიერ ჩა-
ტარებული აღწერის შედეგად გამოვლინდა 16—29 წლის 692 ახალ-
გაზრდა, რომელთაც არ გააჩნიათ რვაწლიანი და საშუალო განა-
თლება.

საჩხერის რაიონის სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრე-
ბის საერთო მაჩვენებელი 0,3%-ით ჩამორჩება საერთო რესპუბლი-
კურს და შეადგენს 98,2%-ს. უფრო ცუდი მდგომარეობაა პირველი

მეოთხედის შედეგად. მაგალითად: პირველი მეოთხედის შემდეგ აკადემიური მოსწრება შეადგენდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგვეთის საშუალო სკოლაში—80,4%,
ჩიხის საშუალო სკოლაში—82,5%,
სხვიტორის საშუალო სკოლაში—85,2%,
სავანის 8-წლიან სკოლაში—82,3%,
მახათაურის 8-წლიან სკოლაში—89,5% და ა. შ.

ასევე დიდია გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა (არგვეთის საშ. სკოლაში—2939, აქედან არასაპატიო მიზეზით—1328; ჩიხის საშ. სკოლაში—2289, არასაპატიო—143; სხვიტორის საშ. სკოლაში—769, არასაპატიო—151; სავანის 8 წლიან სკოლაში—1098, არასაპატიო—273 და სხვ.).

1967—1968 სასწავლო წელს საჩხერის რაიონის სკოლების პირველ კლასებში ჩაირიცხა 1253 მოსწავლე, მათგან 1975 წელს 8 კლასი დაამთავრა 1187-მა, ანუ 94,7%-მა. 1968—1969 სასწავლო წელს საჩხერის რაიონის სკოლების პირველ კლასში ჩაირიცხა 1235 მოსწავლე, მათგან ამჟამად მე-8 კლასებში სწავლობს 1184 ანუ 95,9%.

ნაკლოვანებები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის საქმეში აიხსნება საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების არასაკმაო მუშაობით.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მაღალკვალიფიციური შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი, როგორ ახერხებენ ამას საჩხერის რაიონის სკოლების ხელმძღვანელები?

საირხის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ჭიხორიას შემოწმების დროისათვის მოსმენილი ჰქონდა 28 გაკვეთილი. გარეგნული თვალსაზრისით ანალიზების რვეული კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მასში გარკვეულად არის მითითებული საგანი, მასწავლებელი, გაკვეთილის შინაარსი და სხვ., მაგრამ თვით გაკვეთილის ანალიზი ზედაპირულია და აღწერის ხასიათს ატარებს.

მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. კიპაროიძეს (12) და მის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ზ. მოდებაძეს (15).

მეთოდიკური თვალსაზრისით ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს ჩიხის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის,

თ. მეცხვარიშვილის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი. იგი თვით საჭიროებს მეთოდიკის საკითხებში გარკვევას (სულ 1 [illegible] რაც მუშაობს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტ-ნაკლებად მსგავსი მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება წარმოუდგენელია კარგად მოფიქრებული სამუშაო გეგმის გარეშე. ამ მხრივ, საჩხერის რაიონის სკოლებში საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა.

შემოწმებული სკოლების სამუშაო გეგმებში, რომლებიც შვიდი—რვა თავისაგან შედგება, თავმოყრილია უამრავი საკითხი, მაგრამ არ არის გათვალისწინებული სკოლის მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორიცაა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია, მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა (საჩხერის 1-ლი, საირხის საშუალო, მახათაურის 8-წლიანი სკოლები). უფრო მეტი, ჩიხის საშუალო სკოლის სამუშაო გეგმა გადაწერილია შარშანდელი გეგმიდან. წლევანდელი საკითხები თითქმის მთლიანად ემთხვევა შარშანდელს. ამასთან, საკითხები ან არასწორად არის ფორმულირებული, ან შეცდომებია დაშვებული. მაგალითად: „სსრ კავშირის კონსტიტუციის გერმანიაზე და იაპონიაზე გამარჯვების საბჭოთა არმიისა და საქართველოს გასაბჭოების, 8 მარტის, ვ. ი. ლენინის დაბადების დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომებისა და საუბრების ჩატარება“.

„ინციტურობისა და დამოუკიდებელი განვითარება მოსწავლეებში“.

„შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება მოსწავლეებში“.

(სტილი დაცულია).

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. სკოლის სამუშაო გეგმა მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სარკე უნდა იყოს: ასეთი სარკე, ალბათ, ვერაფერი გამოსადეგი იქნება.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი მამოძრავებელი ძალა მასწავლებელია. ამიტომ, იმაზე, თუ როგორ არის შერჩეული მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა კადრი, ბევრად არის დამოკიდებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ბედიღბალი. საჩხერის რაიონის სკოლებში კი ამ მხრივ, განსაკუთრებით სკოლების ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილების მხრივ, საერთოდ, ძალზე ცუდი მდგომარეობაა. რაიონის ბევრ სკო-

ლაში, ხელმძღვანელი კადრების შერჩევისას, არ არის დაცული სა-
თა მონაცვლეობის პრინციპი, რაც სკოლაში სასწავლო-აღმზრდელო-
ბით მუშაობაზე კონტროლისა და დახმარების აუცილებელი
იმაზე, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ, მეტყველებს
შემდეგი მონაცემები:

1. საირხის საშუალო სკოლაში დირექტორი ისტორიკოსია, ხო-
ლო მისი მოადგილეებიდან ერთი—ისტორიკოსი და მეორე—ქართუ-
ლი ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი;

2. მერჯევის საშუალო სკოლაში—დირექტორი—ისტორიკოსი,
მოადგილეები—ისტორიკოსი და ფილოლოგი:

3. ქორეთის საშუალო სკოლაში—დირექტორი—ისტორიკოსი,
პირველი მოადგილე—გეოგრაფი და მეორეც—გეოგრაფი;

4. ჯალაურთის საშუალო სკოლაში—დირექტორი—გეოგრაფი,
მოადგილე—ისტორიკოსი, მეორე კი დაწყებითი განათლების სპეცია-
ლისტი;

5. ჭალის საშუალო სკოლაში—დირექტორი—ფილოლოგი, პირ-
ველი მოადგილე—გეოგრაფი, მეორე მოადგილე—ისტორიკოსი, ორ-
განიზატორი—ისტორიკოსი;

6. სარეკის საშუალო სკოლაში — დირექტორი — გეოგრაფი,
მოადგილეები—ისტორიკოსი და გეოგრაფი;

7. ნიგვზარის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი— ფიზიკოსი,
მოადგილე—მათემატიკოსი;

8. მახათაურის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი—ბიოლოგი,
მოადგილე—მათემატიკოსი;

9. ჭორვილის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი—გეოგრაფი,
მოადგილე—ისტორიკოსი;

10. მოხვის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი—ისტორიკოსი,
მოადგილე—გეოგრაფი;

11. ზემო არგვეთის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი—გეოგ-
რაფი, მოადგილე—ისტორიკოსი;

12. სისვაძეების 8-წლიან სკოლაში—დირექტორი—ისტორიკო-
სი, მოადგილე—გეოგრაფი;

13. ცხამის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი— ისტორიკოსი,
მოადგილე—გეოგრაფი;

14. სავანის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი—უცხოური ენის
სპეციალისტი, მოადგილე—გეოგრაფი;

15. შომახეთის 8-წლიან სკოლაში—დირექტორი—ისტორიკოსი, მოადგილე—გეოგრაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების ხელმძღვანელთა ასეთი შემადგენლობა, ცხადია, გამორიცხავს პედაგოგიური კოლექტივებისადმი საქმიანი დახმარებისა და კონტროლის შესაძლებლობას.

ნაკლოვანებანი გამოვლინდა აგრეთვე რიგითი პედაგოგიური კადრის შერჩევის საქმეშიც. მაგალითად:

მერჯევის საშ. სკოლაში სპეციალობით გეოგრაფი თ. ს. კომლაძე ასწავლის ბიოლოგიას, ხოლო საფინანსო-ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ლ. ვ. იაკობაშვილი—ფიზკულტურას; მახათაურისა და იტავაზის 8-წლიან სკოლებში გერმანული ენის სპეციალისტი ე. გ. ნოზაძე ასწავლის რუსულ ენას, ვანაიდან არასპეციალისტ პენსიონერ დეკანოიძეს არ სურს თავი დაანებოს მუშაობას და განაგრძობს გერმანული ენის ძალზე ცუდად სწავლებას; საჩხერის მე-3 საშუალო სკოლაში საზოგადოებათმცოდნეობას ასწავლის დაწყებითი განათლების სპეციალისტი ა. ს. ჟალაძე. დაახლოებით მსგავსი მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც. ჩანს, რაიონის განათლების განყოფილებას დიდი მუშაობა მოუწევს ამ დიდი ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის წარმატების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვა, იმაზე თუ როგორ არის დაყენებული ცალკეული სასწავლო დისციპლინის სწავლება, ბევრადაა დამოკიდებული სკოლის საერთო საქმიანობის წარმატება.

მოსწავლეთა პიროვნების ფორმირების საქმეში დიდ როლს ასრულებს დაწყებითი სწავლება, რადგან აქ ყველაზე უფრო მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს სწავლება და აღზრდა. საჩხერის რაიონის სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი დამაკმაყოფილებლად უძღვება საქმეს, არ აქვს ჩამორჩენა პროგრამული მასალის გავლაში. ისინი, წერითი სამუშაოების შესრულებისას, იცავენ დადგენილ ნორმებსა და სახეებს, გასაგებად დაჰყავთ მოსწავლეებამდე ახსნილი მასალა, დროულად სწორდება წერითი ნამუშევრები. მოსწავლეთა კალიგრაფია დამაკმაყოფილებელია.

მათემატიკის გაკვეთილებზე ყურადღება ეთმობა შეგნებული და მტკიცე გამოთვლითი ჩვევების ფორმირებას, პირდაპირ და შებრუნე-

ბულ მოქმედებათა, აგრეთვე კომპონენტებსა და მოქმედების შედეგებს შორის ურთიერთკავშირის გამოვლინებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, რაიონის დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ცოდნა დამაკმაყოფილებელია.

დადებით მხარეებთან ერთად მასწავლებელთა მუშაობაში შეიმჩნევა ხარვეზებიც, რაც უთუოდ ამუხრუჭებს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვას. გაკვეთილების პროცესში ნაკლებად ან სულ არ არის გამოყენებული თვალსაჩინოება, მოსწავლეთა თვითნაკეთი მასალა და ტექნიკური საშუალებანი; სუსტად წარმოებს სალექსიკონო მუშაობა, გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკაზე ვარჯიში, ტექსტზე მუშაობა. მოსწავლეებს არ ეძლევათ მათემატიკაში დამოუკიდებელი სამუშაო; სუსტად ტარდება ზეპირი ანგარიში, არ ექცევა ყურადღება მათემატიკური ტერმინებისა და სიმბოლიკის ზოგიერთი ელემენტის (პლუს, მინუს, მეტი, ტოლი, ნაკლები) შეგნებულად შეთვისებას.

კარგად მუშაობს საჩხერის I საშუალო სკოლის I-ა კლასის მასწავლებელი თამარ აბაშიძე. მისი გაკვეთილები ქართულ ენასა და მათემატიკაში გამოირჩევა მაღალიდეური დონით, იგი მოხერხებულად, უხვად იყენებს თვალსაჩინოებას, აქტიურია კლასი. მოსწავლეთა ცოდნა შეგნებული და ძყარია. მოწონებას იმსახურებს და განზოგადების ღირსია მის მიერ დამზადებული თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალა.

დამაკმაყოფილებლად ატარებენ გაკვეთილებს მაია ტყემალაძე, ქართულ ენაში, III კლ; ქეთევან გოგატიშვილი, რუსული ენა—II კლასი (ორიკე საირხის საშ. სკოლა); ტასო ბერიძე—ქართული ენა, III კლასი; ნაზი კიპაროიძე—მათემატიკა, I კლასი; ლილი. გოშაძე—მათემატიკა, III კლასი; ნუცა კიპაროიძე—რუსული ენა, III კლ; (ყველა არგვეთის საშუალო სკოლა); ლილი ჭაღლაძე—ქართული ენა, II კლასი; ეთერ ქავთარაძე—რუსული ენა, III კლ; ნუცა შუკაკიძე—ბუნებისმცოდნეობა, III კლასი, რაისა კვიჭინაძე—ქართული ენა, I კლასი (საჩხერის I საშუალო სკოლა); თინა ზაბახიძე—ქართული ენა, II კლასი, მედიკო გოშაძე—მათემატიკა, III კლასი (ყველა სხვიტორის საშ. სკოლა).

სუსტად ჩაატარა მათემატიკის გაკვეთილი II კლასში მიხეილ დვალმა (საირხის საშუალო სკოლა). იგი ვერ ფლობს საგნის სწავლების მეთოდიკას და გადაცემის ხერხებს, არ იცის საგანი. მაგ.: არ აკეთებს ამოცანის მოკლე ჩანაწერს; ორი ამოცანა შეცდომით იქნა

გამოყვანილი, თუმცა მასწავლებელმა მისი ამოხსნა სწორად მიიჩნია. მაგ.: 1-ში 5-ით ნაკლებია II-ზე, —1—37, გვეკითხებიან ორივეში ამოხსნა ასე: 1) 37—5—32; 2) 32+37—69 შეკრება უნდა ყოფილ-ყო პირველ კითხვაშიც. ან კიდევ მეორე ამოცანა: 8 ორკაპიკიანი და 2 სამკაპიკიანი. სულ რამდენი კაპიკია? შესრულება 16—6—10; საშინაო დავალებად კლასს მიეცა ამოცანის შედგენა ფორმულის მიხედვით, რის შესახებ საკლასო მუშაობის დროს ერთი სიტყვაც არ ყოფილა ხსენებული. მასწავლებელმა მიზანს ვერ მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г 42 41

დაბალ დონეზე დგას სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა მერჯევის დაწყებით (გამგე ტარასი სადუნიშვილი) სკოლაში. არადამაკმაყოფილებლად წარმართა ქართული ენის გაკვეთილი აღნიშნული სკოლის მასწავლებელმა თინა კაპანაძემ მოსამზადებელ კლასში, მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია, უჭირთ კითხვა; მასწავლებელი არ იყენებს დიდაქტიკურ თამაშობებს, მუშაობაში არ ჩააბა კლასი; ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა მიერ სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას; მასწ. ვალენტინა წერეთელი (რუსული ენა, II კლასი) ვერ ფლობს რუსულ ენას, ზეპირ მეტყველებაში უშვებს ორთოგრაფიულ და სტილისტურ შეცდომებს. მაგ.: **„Сколько буква (в) слова? Яша что атвечает? Что сказал нина?** და სხვა. არ იყენებს თვალსაჩინოებას, ტაბულებს; არა აქვს მოძრავ ანბანზე მუშაობისათვის საჭირო ჩანთა, არ იცნობს დაწყებით კლასებში რუსული ენის სწავლების მეთოდებს, სუსტია მოსწავლეთა მომზადების დონე.

ტარას სადუნიშვილმა, სკოლის გამგე-მასწავლებელმა, მათემატიკაში მოსწავლეთა ცოდნის შეუმოწმებლად დაიწყო ახალი მასალის ახსნა. მთელი გაკვეთილი ისე გავიდა, რომ მოსწავლეები არ ჩაუბამს მუშაობაში. ახსნილი მასალა გადატვირთული იყო თავისი მოცულობით, მოსწავლეებმა ახალი გაკვეთილი ვერ გაიგეს. საშინაო დავალებად კლასს მიეცა სულ სხვა სახის სავარჯიშო და არა „ახსნილი“ მასალის მსგავსი რამ. მასწავლებელმა მიზანს ვერ მიაღწია. იგი აუცილებლად საჭიროებს მეთოდურ დახელოვნებას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი სკოლების პედსაბჭოს სამუშაო გეგმებში არც ერთი საკითხი არ არის შეტანილი დაწყებით კლასებში ცალკეულ საკანთა სწავლებასა ან სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მდგომარეობის შემოწმების შესახებ (ხშირ შემთხვევაში არც გასული სასწავლო წლის გეგმებშია შეტანილი ზემოხსენებული საკითხები).

* * *

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ქ. ჯაფარიძე (არგვეთის საშ. სკოლა), მ. [illegible], ნ. ჭიტაძე (ჩიხის საშ. სკოლა). ისინი დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, მისი სწავლების ხერხებსა და მეთოდებს. აღნიშნული მასწავლებლები საგაკვეთილო მასალას მოხდენილად უკავშირებენ თანამედროვეობას, ყოველ შესაძლო შემთხვევაში იყენებენ მას მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის. ამ მასწავლებლების მუშაობის საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გაკვეთილებზე არ იყენებენ სასწავლო თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს, საკმაოდ არ ზრუნავენ მოსწავლეებში გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის.

ცუდად ასწავლიან მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ლ. კიკნაველიძე (სხვიტორის საშ. სკოლა), ს. კუპრაშვილი (მახათაურის 8 წლ. სკოლა), ო. ჭელიძე, ვ. მიქაძე (საირხის საშ. სკოლა), პ. ყიფშიძე (არგვეთის საშ. სკოლა).

ლ. კიკნაველიძეს შემოწმების დღისათვის გაკვეთილი არ ჰქონია, მაგრამ მის მიერ გასწორებული წერითი ნამუშევრების გადახედვამ დაგვარწმუნა, რომ იგი სრულებით ვერ ფლობს მართლწერის წესებს, რის გამო ნაწერებს ასწორებს ძალზე უხარისხოდ. ყურადღების გარეშე რჩება უამრავი შეცდომა, ისეთებიც კი, რომელთა შემჩნევა არასპეციალისტისათვისაც არ არის ძნელი.

ს. კუპრაშვილი ხანდაზმული მასწავლებელია. მას პედაგოგიური მუშაობის უზარმაზარი გამოცდილება აქვს, მაგრამ ოდნავაც არ ეტყობა შესაბამისი პედაგოგიური ოსტატობა.

გარდა იმისა, რომ მეთოდიკური თვალსაზრისით სრულიად უსუსური იყო მის მიერ მეხუთე კლასში ჩატარებული გაკვეთილი, იგი სავსე იყო უხეში მეცნიერული შეცდომებითაც. უფრო მეტი, არც მოსწავლეებმა და არც მასწავლებელმა არ იციან გრამატიკის ისეთი წესი, როგორიცაა გვარისა და სახელის ბრუნება ერთად. მასწავლებელმა ისიც არ იცის, რომ ადამიანთა საკუთარი სახელები ბრუნებისას არ იკუმშება. დაფასთან გამოძახებულმა ერთ-ერთმა მოსწავლემ სახელისა და გვარის—ვახტანგ ამაშუკელის ბრუნებისას შეკუმშა „ამაშუკელი“ („ვახტანგ ამაშუკლის“, „ვახტანგ ამაშუკლით“, „ვახტანგ ამაშუკლად“) ეს კი ჩვეულებრივ მოსაუბრეს არ ეპატიება, არამცთუ მასწავლებელს,

ასეთი მუშაობის შედეგია, რომ მოსწავლეები საგნის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ, ამასთან, წერენ და კითხულობენ ძალზე ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ჭელიძეს X კლასში დავალებად მიცემული ჰქონდა ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“ და „რაინდები“. კლასმა ვერ გამოამჟღავნა განვლილი მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა: თვით მასწავლებელი კი ძალზე სცოდავდა მეცნიერული და მეთოდიკური თვალსაზრისით. მაგალითად, მან ერთიდაიგივე ისტორიულ პიროვნებად მიიჩნია აკაკი წერეთლის „გამზრდელსა“ და ნ. ლორთქიფანიძის „რაინდებში“ გამოყვანილი ინალიფა (რის საფუძველზე?).

ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელს არავითარი თვალსაჩინოება არ გამოუყენებია. მან ისე გააცნო კლასს შ. დადიანის ბიოგრაფია, რომ მწერლის შემოქმედებით გზაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

კლასი ძალზე ჩამორჩენილია, სუსტად იცის განვლილი მასალა.

უხეში შეცდომებით წარიმართა ლიტერატურის გაკვეთილი ამავე სკოლის მეოთხე კლასში (მასწ. ვ. მიქაძე).

განვლილი მასალის (ვაჟას „ჩხიკვთა ქორწილი“) გამოკითხვისას მოსწავლეებმა სუსტი ცოდნა გამოავლინეს. გამოძახებული მოსწავლეები მეტყველებდნენ მონოტონურად, ყოველგვარი პაუზისა და მახვილის გარეშე. ამავე დროს მათი მეტყველება არ იყო დაზღვეული ბარბარიზმებისაგან (ერთ-ერთმა მოსწავლემ თხრობისას წარმოთქვა: „წრუწუნა გადახტა სტოლიდან და ცეკვა დაიწყო“).

მასწავლებელმა ვერ მოახერხა ძველიდან ახალ მასალაზე გადასვლა. გარდა ამისა, ახსნის პროცესში, თვითონ უშვებდა შეცდომებს: „ალ. ყაზბეგმა გადაწყვიტა ხალხს გაცნობოდა. ამ მიმართებით გადაწყვიტა ცხვარში წასულიყო“ მასწ. ვ. მიქაძეს უჭირს ერთმანეთისაგან გაარჩიოს ქართული სიტყვები ბარბარიზმებისაგან. მან ასეთი „განმარტება“ მისცა მოსწავლეებს: „ფარა ჯოგსაც ჰქვია და ფულსაც“, „სერი (серый) ნიშნავს ნაცრისფერს, სერი ნიშნავს გორაკს, მაშასადამე ეს სიტყვები ერთმანეთის სინონიმებია“ (!).

მასწ. ვ. მიქაძემ ვერც გაკვეთილის დრო გაანაწილა საჭიროებისამებრ, რის გამო არც ტექსტზე უმუშავნია და არც ახალი მასალა განუმტკიცებია, ხოლო მოსწავლეებს ასეთი განკარგულება მისცა: „ამოწერეთ დიალექტები“.

ვ. მიქაძის მოსწავლეები ვერც წერით მეტყველების კულტურას ამჟღავნებენ: წერენ ულამაზოდ, უჭირთ წინადადების გამართვა, ვერ იცავენ მართლწერის წესებს.

ასევე დაბალ მეცნიერულ და პრაქტიკულ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მასწავლებლები პ. ყიფშიძე, ქ. ჯაფარიძე და გ. ტოგონიძე (არგვეთის საშ. სკოლა).

მასწ. პ. ყიფშიძემ არ იცის მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობა. იგი, ახალი მასალის ახსნისას, მხოლოდ ამით კმაყოფილდება, რომ წაუკითხავს ტექსტის კითხვას და შემდეგ რომელიმე მოსწავლეს აგრძელებინებს; ლიტერატურულ მასალას სრულად არ იყენებს მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისათვის. მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი ორგანიზაციული თვალსაზრისითაც მოკოჭლებდა—განვლილი მასალის გამოკითხვას მოანდომა 10 წუთი, ახალი მასალის ახსნას ანუ ლიტერატურული ტექსტის კითხვას—35 წუთი.

მასწ. ვ. ტოგონიძემ გაკვეთილის მსვლელობისას დაუშვა ფაქტობრივი შეცდომები. მისი განცხადებით: „დღეს, სვანეთის მადლიან მიწაზე ტრაქტორები და კომბაინები გუგუნებენ“, „როგორც პროფესიონალი მწერალი, იგი (ლაპარაკია მიხეილ ჯავახიშვილზე) 1923 წლიდან ჩამოყალიბდა, ამ დროიდან დაიწყო პატარ-პატარა მოთხრობების წერა“. სინამდვილეში მ. ჯავახიშვილის შემოქმედება 1903 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა მოთხრობა „ჩანჩურა“.

მასწ. გ. ტოგონიძე მეტყველებს უხეში ენობრივ-ლოგიკური და შინაარსობრივი შეცდომებით („ამ დროს სპილენძის ქარხანას, რომელსაც დაუფლებული ჰყავდა უცხოელი კაპიტალისტები...“).

„აი, პოეტის ის ამაღელვებელი ფაქტი, რომელიც მას გაპარვისას შეემთხვა“. „მიხ. ჯავახიშვილი მიღვაწეობდა მაშინ, როცა საქართველოს მუშები და გლეხობა ტიტველი მკერდით შეეგება მეფის რუსეთის რუსიფიკატორულ რეჟიმს“...

როგორც ჩანს, საჭირო იქნება, სკოლების ხელმძღვანელებმა, განათლების განყოფილებამ და მეთოდკაბინეტმა სათანადო დასკვნები გააკეთონ აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საჩხერის რაიონში შეიმჩნევა რუსული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების უკმარობა. შემოწმებული 18 მასწავლებლიდან მხოლოდ 5-ს აქვს უმაღლესი განათლება. მასწავლებელთა დიდი ნაწილი ვერ ფლობს რუსულ ენას, რის შედეგად არ ძალუძს გაკვეთილების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვა.

კარგად არიან დაუფლებული საგანსა და მისი სწავლების მეთოდიკას მასწავლებლები რ. ღონღაძე (საჩხერის I საშ. სკოლა), ნ. ბუგაევა. (არგვეთის საშ. სკოლა), ლ. კოვალიოვა (ჩიხის საშ. სკოლა),

ეთ. ნოზაძე (მახათაურის 8-წლიანი სკოლა). საჩხერის პირველ საშუალო სკოლაში მოწყობილია რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, სადაც ნახავთ რუსი მწერლების პორტრეტებს, მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ალბომებს, თვალსაჩინო მასალას, გრამატიკულ ტაბულებს, სურათებს ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით. კაბინეტში არის აგრეთვე ფირსაკრავი, შეძენილი აქვთ უამრავი ფირფიტა, დიაფილმი, ფილმოსკოპი და სხვ. მასწავლებელი რ. ლონლაძე წარმატებით იყენებს ამ მასალას და მისი მოსწავლეები დიდი მონდომებით ეუფლებიან რუსულ ენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ბევრ სხვა მასწავლებელზე. რიგი მასწავლებლებისა ცუდად ფლობს რუსულ ენას, ყურადღების გარეშე რჩება მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებული შეცდომები, ძალიან დაბალია მათი მოსწავლეების ცოდნის დონე. მეტყველებაში უხეშ შეცდომებს უშვებს მასწავლებელი სერგო ნადირაძე (საირხის საშ. სკოლა) მაგ.: „Девочка мыл посуду“, „Что нас было задано“, „Что мы учились Пушкина в прошлом году?“ „Из руставскый сталь делают тысячу предметов“.

მასწავლებელი ივანე საგანელიძე (არგვეთის საშ. სკოლა) დამზინჯებულად უხსნის მოსწავლეებს უკუქცევით ზმნებს (возвратные глаголы), მან მოსწავლეებს წესი არასწორად ჩააწერინა: „Возвратный глагол называется такое действие, когда действие производится на том же предмете, который совершает его“— ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მასწავლებელმა არ იცის ის, რასაც ასწავლის, ამავე დროს არ ემზადება გაკვეთილისათვის—ეს წესი შესანიშნავად არის განმარტებული წიგნში და მისი ჩაწერა რვეულებში არ იყო საჭირო (ისიც შეცდომით). გარდა ამისა, მასწავლებელი საგანელიძე საკლასო ჟურნალში წერს უამრავ „2“ და „1“. მაგ.: 26/IX VII-ა კლასის ჟურნალში წერია ათი „2“, ერთი „1“ და, ამავე დროს, ახსნა ახალი მასალა „Лошадь Казбича“. 22/X-დან 4/XI-მდე VIII კლასის ჟურნალში 12 „ცუდი“ ნიშანი წერია და არც ერთი „დადებითი“. მასწავლებელი საგანელიძე არ არის გარკვეული რუსული ენის სწავლების მეთოდიკაში, არღვევს კომბინირებული გაკვეთილის პრინციპს: ერთსა და იმავე დღეს VII კლასში ხსნის წასაკითხ მასალასაც და გრამატიკასაც, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მასწავლებელი მელიტონ გელაშვილი (მახათაურის 8-წლიანი სკოლა) ასე მეტყველებს: „Кто было особенно близко детские годи Александра Сергеевича Пушкину? Как он его называет

стихотворении „Няне“? Лермонтов тоже был великий поэт, ему тоже пришлось погибать на дуэли“. „Куда его сослали за этой стихотворение?“ მასწავლებელმა გელაშვილმა „ამ. ლერმონტოვის ბიოგრაფია“, მასალის გამტკიცების მიზნით დაუსვა კლასს 17 კითხვა და თვითონვე პასუხობდა, მოსწავლეები კი მხოლოდ მსმენელებად დარჩნენ.

ამავე, მახათაურის 8-წლიან სკოლაში დაწყებით კლასებში რუსულ ენას ასწავლის გალინა ტინტილოზოვა, ისიც უშვებს უხეშ შეცდომებს, სიტყვებს გამოთქვამს არასწორად.

ჩემ მიერ მოსმენილ იქნა აგრეთვე ნ. მეგრელიშვილის, ტ. ქანთარიას (საირხე), ო. კიპაროიძის (არგვეთი), ეთ. ქავთარაძის, რ. მურადოვას (საჩხერე, 1-ლი საშ. სკოლა), ა. ხაჟალიას, ი. იაკობაშვილის (ჩიხა), ეთ. ნოზაძის, სერგო ზაბახიძის (სხვიტორი) გაკვეთილები. ყველა ამ მასწავლებელს აქვს მუშაობაში გარკვეული ნაკლი: გაკვეთილებზე არ იყენებენ თვალსაჩინოებას, აქტიურ შემოქმედებით საქმიანობაში არ აბამენ თითოეულ მოსწავლეს, გულმოდგინედ და ბეჯითად არ აწარმოებენ ლექსიკურ მუშაობას, სრულებით არ იხედებიან მოსწავლეთა რვეულებში, მოსწავლეები კი წერენ ძალიან ცოტას და ცუდად, დაბალია სწავლების ეფექტიანობის დონე, არასწორად ტარდება შეცდომებზე მუშაობა, მათი გასწორება. ხშირად მასწავლებლები გაკვეთილზე საუბრობენ ქართულად, არასისტემატურად ტარდება საუბრები ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით. IV—VII კლასებში დარღვეულია კომბინირებული გაკვეთილის პრინციპი. მოისუსტებს სკოლების დირექციის კონტროლი ამ საგნის მასწავლებლებისადმი, დირექტორებს და მათ მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მოსმენილი აქვთ მხოლოდ 4—5 გაკვეთილი. მათი შენიშვნები გაკვეთილის ირგვლივ ძალზე ზერელე და ფორმალური ხასიათისაა.

საჩხერის რაიონის საშუალო და 8-წლიან სკოლებში უცხოური ენის სწავლებისათვის არასახარბიელო ბაზაა შექმნილი. შემოწმებული სკოლებიდან მხოლოდ არგვეთის საშუალო სკოლაში აქვთ გერმანული ენის კაბინეტი და ისიც ძალიან ღარიბი. კაბინეტებში, ძირითადად, თვითნაკეთი თვალსაჩინოებაა. გრამატიკულ ტაბულებში უხეში შეცდომებია გაპარული. არასწორი კალიგრაფიითაა დაწერილი ასოები და სხვ.

საჩხერის მე-2 საშუალო სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლის მ. თულაშე, რომელსაც 1953 წ. დაუმთავრებია ქ. თბილისის უცხოურ

ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, აქვს 20 წ. პედ. მუშაობის სტაჟი. მასწავლებელი დამაკმაყოფილებლად ფლობს ინგლისურ ენას, მაგრამ გაკვეთილებს ძირითადად ქართულ ენაზე ატარებს, მოსწავლეებს არიან მიჩვეულნი მასწავლებლის მიერ უცხოურ ენაზე საუბარს, არ ესმით მის მიერ დასმული კითხვები, რის გამო იგი იძულებულია თარგმნოს ეს კითხვები ქართულ ენაზე. მასწავლებელი, გაკვეთილის მსვლელობისას, არ იყენებს თვალსაჩინოებას და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, იფარგლება ძველი კითხვისა და თარგმანის მეთოდით, კლასში 15 მოსწავლიდან მხოლოდ სამმა იცოდა ცოტა რამ, დანარჩენმა 12-მა წაკითხვაც კი ვერ შეძლო. ანალოგიური მდგომარეობაა მე-9 კლასშიც: მოსწავლეებმა მე-5 კლასის გრამატიკული მასალაც კი არ იციან. მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალებისა და სალექსიკონო რვეულებს, რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია.

საჩხერის მე-3 საშუალო სკოლაში გერმანული ენა ისწავლება და მას ორი მასწავლებელი ასწავლის.

ნათელა ღონღაძეს დამთავრებული აქვს თბილისის სახ. უნივერსიტეტი 1974 წელს, გააჩნია 1 წლის მუშაობის სტაჟი.

ანა ხვედელიძეს დამთავრებული აქვს ქ. თბილისის უცხოურ ენათა პედ. ინსტიტუტი 1954 წელს—6 წლის პედ. მუშაობის სტაჟი.

ნ. ღონღაძე დამწყები მასწავლებელია. იგი ენას დამაკმაყოფილებლად ფლობს. გაკვეთილს, ძირითადად, უცხოურ ენაზე ატარებს, მაგრამ, ვინაიდან გაკვეთილზე არ იყენებს თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, ვერ ფლობს სწავლების მეთოდებს, 14 მოსწავლიდან მხოლოდ ორმა-სამმა თუ იცის ცოტა რამ.

ა. ხვედელიძე უმაღლესი განათლებითაა, მაგრამ არ მუშაობს თავისი თეორიული და მეთოდური დონის ასამაღლებლად, რის გამოც, უცხოურ ენაზე მეტყველებისას, უშვებს შეცდომებს. ისეთი მარტივი მიმართვებიც კი, როგორიც არის: წაიკითხე, ადექი, მიდი დაფასთან, მოსწავლეებს არ ესმით, ვინაიდან მასწავლებელი გაკვეთილს ძირითადად მშობლიურ ენაზე ატარებს. გარდა ამისა, ა. ხვედელიძე არ იყენებს თვალსაჩინოებას, რაც მას თარგმნის დროს დახმარებას გაუწევდა გაკვეთილზე.

არც ერთი მასწავლებელი (ნ. ღონღაძე, ა. ხვედელიანი) არ ასწორებს საშინაო დავალებასა და სალექსიკონო რვეულებს. ასეთი მუშაობის შედეგად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

სოფელ მერჯევის საშუალო სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის

დამწყები მასწავლებელი ე. იაკობიძე, რომელსაც დამთავრებული აქვს უცხოურ ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი 1972 წ. (3 წ. პედ. მუშაობის სტაჟი). მასწავლებელმა დამაკმაყოფილებლად იცის ენა, [illegible] არადამაკმაყოფილებლად გამოთქვამს ე. წ. „უმლაუტიან" ნმოვნებს, რითაც მახინჯდება გერმანული გამოთქმა. მასწავლებელი გაკვეთილზე იყენებს თვალსაჩინოებას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა გამოთქმას, ლექსიკურ მუშაობას და განვლილი ლექსიკური მასალის განმტკიცებას, იგი ყველა მოსწავლესთან ერთნაირი მონდომებით არ მუშაობს, ამიტომ კლასში არ არის თანაბარი ცოდნის დონე. VI კლასის მოსწავლეებში ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული სწორი წარმოთქმის ჩვევა. ასევე არადამაკმაყოფილებელი გამოთქმა აქვთ VII კლასის მოსწავლეებს. ახალი სიტყვები არ მტკიცდება უკვე შესწავლილ სიტყვებთან კონტაქტში. მათ მოსწავლეები განყენებულად სწავლობენ, რის გამოც მასწავლებელი ვერ აღწევს მიზანს—აამეტყველოს მოსწავლეები უცხოურ ენაზე. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მასწავლებელი კითხვის ტექნიკის განსავითარებლად, რის შედეგადაც 20 მოსწავლიდან 13-მა კითხვა არ იცის. მიუხედავად ამისა, თუ მასწავლებელი იმუშავებს თავისი თეორიული და მეთოდური დონის ასამაღლებლად, მისგან კარგი მასწავლებელი დადგება.

არგვეთის საშუალო სკოლაში გერმანულ ენას სამი მასწავლებელი ასწავლის: ვასილ კიპაროიძე, დამთავრებული აქვს უცხოურ ენათა ინსტიტუტი 1953 წ. (22 წ. პედ. მუშაობის სტაჟი), ვალენტინა სიჭინავა, დამთავრებული აქვს სოხუმის პედ. ინსტიტუტი 1955 წ. (19 წ. პედ. მუშაობის სტაჟი), გრიგოლ ჯოხაძე, დამთავრებული აქვს უცხოურ ენათა ინსტიტუტი 1966 წ. (9 წ. პედ. მუშაობის სტაჟი).

ვ. კიპაროიძე (იგი სკოლის დირექტორია) ენას ცუდად ფლობს. ის V—VI კლასებში ასწავლის, ვერ მუშაობს გერმანული ენის ფონეტიკაზე, ვერ აძლევს მოსწავლეებს სწორი ზეპირი და წერითი მეტყველების ჩვევებს, რის გამოც შემდეგ კლასებში მასწავლებლებს უჭირთ იმ ნაკლოვანებათა გამოსწორება, რომელიც მასწავლებელმა ვ. კიპაროიძემ დანერგა V—VI კლასებში. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი გაკვეთილს გერმანული ენის კაბინეტში ატარებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს და ჯერ კიდევ ძველი მეთოდებით ასწავლის, რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია.

ვ. კიპაროიძე არ ასწორებს საშინაო დავალებისა და სალექსიკონო რვეულებს.

მასწავლებლები ვ. სიჭინავა და გრ. ჯოხაძე ენას დამაკმაყოფილებლად ფლობენ, მაგრამ მათი მოსწავლეთა მომზადების დონე IX, X კლასებში არადამაკმაყოფილებელია. IX კლასში არგვეთის საშუალო სკოლაში მოსწავლეები სოფელ იტავაზის 8-წლიანი სკოლიდან მოდიან, სადაც არასპეციალისტი ასწავლის... მოსწავლეებს გერმანულ ენაში ელემენტარული ცოდნაც კი არ აქვთ. რა თქმა უნდა, ისინი ვერ დაძლევენ IX—X კლასის პროგრამას. მასწავლებლებს მათი უცოდინარობა მძიმე მდგომარეობაში აყენებს და გამოსავალი ვერ უპოვიათ.

მასწავლებელი ვ. სიჭინავა VII კლასში, რომელსაც ის V კლასიდან ასწავლის, არ იყენებს სწავლების ახალ მეთოდებს, კითხვითა და თარგმანის მეთოდით იფარგლება, გაკვეთილზე მხოლოდ რამოდენიმე მოსწავლესთან მუშაობს და კლასში 10 მოსწავლემ არაფერი არ იცის. მასწავლებელს არა აქვს გააზრებული გაკვეთილი, გაკვეთილზე ის ფანტავს მოსწავლეთა ყურადღებას სხვადასხვა თემის შეთავაზებით. მაგ. ის მოყვა ეპიზოდებს ერნსტ ტელმანის ცხოვრებიდან, მას ეს სრულებით არ სჭირდებოდა გაკვეთილზე. მოიგონა განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლები, შემდეგ ისევ დაიწყო კითხვების დასმა ტექსტის გარშემო და სხვა. ასეთი ქაოტური გაკვეთილით მასწავლებელმა მიზანს ვერ მიაღწია და ამაოდ დაშვრა. აღსანიშნავია, რომ თვით მასწავლებელმა კარგად იცის გერმანული ენის გრამატიკა და კარგად ასწავლის, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო. მოსწავლეები გააზრებულ ცოდნას ამყარებენ. აქედან დასკვნა—რაც მასწავლებელმა კარგად ასწავლა, მოსწავლეებმა იციან. ეს მასწავლებლებიც (ვ. სიჭინავა, გრ. ჯოხაძე) უყურადღებოდ ტოვებენ მოსწავლეთა საშინაო დავალებისა და სალექსიკონო რვეულებს. მეთოდურად არასწორი მუშაობის შედეგია მათი მოსწავლეების მომზადების დაბალი დონე.

სოფ. იტავაზის 8-წლიან სკოლაში გერმანულ ენას 15 წელია არასპეციალისტი მ. დეკანოიძე ასწავლის. ის ენას არადამაკმაყოფილებლად ფლობს, არ იცის კითხვის წესები, ვერ ერკვევა გრამატიკის ელემენტარულ წესებში, მეტყველებისას უშვებს უხეშ შეცდომებს. ასეთმა ვითარებამ განაპირობა მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე. მ. დეკანოიძე მახათაურის 8-წლიან სკოლაში წლების მანძილზე ასწავლიდა გერმანულ ენას, იმ დროს, როდესაც ამ სოფლის მკვიდრ მ. წიკლაურს დამთავრებული აქვს უცხოური ენების პედაგოგიური ინსტიტუტი და მხოლოდ წელს დანიშნეს გერმანული ენის მასწავლებ-

ლად. უფრო მეტი, იტავაზის 8-წლიან სკოლაში ამჟამად მუშაობს გერმანული ენის სპეციალისტი და იგი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, ვინაიდან არასპეციალისტ პენსიონერ ვ. დეკანოიძეს არ სურს დაანებოს თავი მუშაობას და განაგრძობს გერმანული ენის ამგვარ „სწავლებას“. განათლების ადგილობრივ ორგანოებს დღემდე ვერ მოუხერხებიათ, არასპეციალისტები, რომელნიც ესოდენ დიდ ზიანს აყენებენ სწავლებას საქმეს, შეცვალონ უმაღლესდამთავრებული სპეციალისტებით, რომლებიც წლების მანძილზე უმუშევრები არიან ან სხვა საგანს ასწავლიან.

ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები საჩხერის რაიონის სკოლებში ძირითადად დამაკმაყოფილებლად ისწავლება. ამ საგნების სწავლების საქმეში გარკვეული წარმატებები აქვთ მ. ენუქიძეს, რ. დეკანოიძეს, ი. ცუხიშვილს, ავ. დეკანოიძეს (მერჯევის საშ. სკოლა), შ. მაჭარაშვილს, რ. გელბახიანს (საჩხერის 1-ლი საშ. სკოლა), რ. ხოხაძეს (სავანის 8-წლიანი სკოლა). ისინი კარგად იცნობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა გამოყენებითაც გაკვეთილებზე აღწევენ სათანადო აქტიურობას. მაგრამ, მათ მუშაობაში შეიმჩნევა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებიც: აღნიშნული მასწავლებლები გაკვეთილებზე არ იყენებენ თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, სასწავლო პროცესს წარმართავენ ძველი ტრადიციული მეთოდით, არ იგრძნობა ახლის, პროგრესულის ძიების სურვილი და სხვ. ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა დაძლევის შემთხვევაში მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს უფრო მეტი ეფექტი და სასასარგებლო შედეგი ექნებოდა.

სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია მუშაობაში არგვეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწ. გ. ქავთარაძეს.

მასწავლებელმა გაკვეთილი ჩაატარა ისტორიის კაბინეტში, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე რუკა და კარადაა, სადაც ინახება თვალსაჩინოება. გაკვეთილის თემა იყო „დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების წყაროები და მისი ისტორიული მნიშვნელობა“. გამოკითხულ იქნა მხოლოდ ერთი მოსწავლე, რომელმაც სუსტად იცოდა განვლილი მასალა და თხრობის დროს დაუშვა ფაქტობრივი შეცდომები. მასწავლებელმა ეს შეცდომები უყურადღებოდ დატოვა.

ასევე გამორჩა მას ფრონტალური გამოკითხვისას დაშვებული შეცდომები. მასწავლებელმა გ. ქავთარაძემ ყოველგვარი გადასვლის

გარეშე" დაიწყო ახალი მასალის ახსნა („საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ"). მართალია, მასწავლებელმა გაამდიდრა თხრობა მემუარული ლიტერატურიდან მოტანილი ციტატებით, მაგრამ გამორჩა ეთქვა, როგორ შეიქმნა მშვიდობის მსოფლიო საბჭო და უბრალოდ ახსნა, რომ ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის მოწოდებას. მასწავლებელმა კარგად ვერ გაანაწილა გაკვეთილის ორი მომენტი—ახალი მასალის განმტკიცება და გამოკითხულ მოსწავლეთა ცოდნის შეფასება მოხდა ზარის დარეკვის შემდეგ. მასწ. გ. ქავთარაძეს ესაჭიროება, სერიოზულად იზრუნოს პედაგოგიური ხელოვნების დაუფლებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან გეოგრაფიას ე. ჯაფარიძე (საჩხერის № 2 საშუალო სკოლა), მ. დეკანოიძე (საჩხერის № 1 საშუალო სკოლა), მ. კოსტავა (საირხის საშუალო სკოლა) და ე. კაპანაძე (არგვეთის საშუალო სკოლა).

აღნიშნული მასწავლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა შემეცნების აქტიურობის საკითხს. გაკვეთილის ახსნის პროცესში იყენებენ სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს, ამდიდრებენ მასალას დამხმარე ლიტერატურიდან. გაკვეთილზე ჩანს აღმზრდელობითი მუშაობა (ბუნების დაცვის საკითხები, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა), განსაკუთრებით გამოირჩევა საჩხერის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ჯაფარიძე, რომელიც გაკვეთილზე მოხერხებულად იყენებს ტექნიკურ საშუალებებსა და სამხარეთმცოდნეო მასალას. გაკვეთილის თემას უკავშირებს თანამედროებას.

დაბალ დონეზე იქნა ჩატარებული გაკვეთილები საჩხერის № 3 (მასწავლებელი მ. ბერულავა), № 1 (ჟ. ღონღაძე), მერჯევის (ვ. სხირტლაძე) საშუალო და მახათაურის რვაწლიან (მ. მეგრელიშვილი) სკოლებში.

აღნიშნული მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა აქტივიზაციის საკითხს, სუსტად იყენებენ თვალსაჩინოებას, გაკვეთილზე, ძირითადად, ჩანს მხოლოდ მასწავლებლის აქტიურობა. დაბალია გაკვეთილის მეთოდური დონე. ნაკლებად იყენებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სქემებს, სურათებს, ტაბულებს. მოსწავლეებს არ აქვთ კონტურული რუკები დიატლასები.

მასწ. მ. ბერულავა (საჩხერის № 3 საშ. სკოლა, უმაღლესი განათლებით, პედსტაჟი 18 წელი) VIII კლასში იყენებს სსრკ პოლიტიკურ რუკას დაწყებით კლასებისათვის. არ აქვს გამოყენებული სპეცი-

ალური რუკა, წიგნში მოცემული ტაბულები და ციფრობრივი მასალა. ბევრი დრო მოანდომა გაკვეთილის ?ამოკითხვას. როგორც ორდინის შემოწმებისას, ასევე ახალი მასალის ახსნისას კლასიერ[illegible] გაკვეთილს ატარებს მხოლოდ თხრობის მეთოდით.

ბიბლიოთეკა

მასწ. ჟ. ლონლაძემ (საჩხერის № 1 საშ. სკოლა, უმაღლესი განათლებით, პედსტაჟი 4 წელი) ძველი მისალის გამოკითხვას მოანდომა 30 წუთი მაშინ, როდესაც საჭირო იყო ფრონტალური გამოკითხვის ჩატარება და მეტი დრო მოენდომებინა ისეთი საკითხების შესწავლისათვის, როგორიც არის პოლუსები, ეკვატორი, პარალელები და მერიდიანები. რუკის შესწავლა დაიწყეს წინა გაკვეთილზე. მოსწავლეები უშვებდნენ შეცდომებს, რაც მასწავლებელს შეუმჩნეველი რჩებოდა. ნაკლებ ყურადღებას უთმობს პრობლემურ საკითხებს და, საერთოდ, კლასის აქტიურობას.

მასწავლებელი თეორიულად მომზადებულია. საჭიროა მეტი იმუშაოს თავის თავზე, გულმოდგინედ მოემზადოს ყველა გაკვეთილისათვის, აიმაღლოს მეთოდური დონე.

მასწავლებელ ვ. სხირტლაძეს (მერჯევის საშ. სკოლა, უმაღლესი განათლებით, პედსტაჟი 30 წ.) თეორიული მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია. მან კარგად დაუკავშირა IV კლასის ახალი მასალა კოსმოსის ათვისებას ჩვენი კოსმონავტების მიერ, გაკვეთილზე ჩაატარა ცდა. გაკვეთილის ყველა მომენტი იყო დაცული. მიუხედავად ამისა, აღინიშნება ნაკლოვანებები: მის მიერ დასმული კითხვები არ მოითხოვენ მოსწავლისაგან დასკვნების გამოტანას, არ თხოვს მოსწავლეებს ერთი ობიექტის მეორესთან შეფარდებას. სამუშაო რვეულებში ძირითადად გადმოტანილია ნახატები წიგნიდან. მუშაობს კლასის ნაწილთან. ბოლო მერხებზე მჯდომი ბავშვები რჩება ყურადღების გარეშე.

მასწავლებელ ჯ. ჭავთარაძის (სავანის 8-წლიანი სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, უმაღლესი განათლებით, პედსტაჟი 5 წელი) მოსწავლეთა მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია, რაც ჩანს გაკვეთილის პირველი ნაწილიდან. გაკვეთილი არ იყო სრულად აღჭურვილი (სსრკ ფიზიკური და პოლიტიკური რუკა).

მასწავლებელი არ მუშაობს კონტურულ რუკაზე. მოსწავლეები სწავლის პერიოდში არ იყენებენ ატლასებს. სამუშაო რვეულებში დიაგრამები არ არის სწორად შედგენილი, რასაც მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება.

ახალი მასალის ახსნისას ჯ. ქავთარაძემ მიმართა თხრობის მეთოდს. არ გამოიყენა სახელმძღვანელოში მოცემული სქემა სოფლის მეურნეობის დარგების დადგენისას. სუსტი იყო კავშირი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებს შორის. არ იყო დაცული თანმიმდევრობა. მასწავლებელი საჭიროებს მეთოდური დონის ამაღლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი მ. მეგრელიშვილი (მახათაურის რვაწლიანი სკოლა, უმაღლესი განათლებით, პედსტაჟი 33 წ.) მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისას კლასის წინაშე სვამს კითხვებს, რომლებიც მოითხოვენ ზეპელი პასუხებს (მაგ. „მიჩვენე მდინარე, მოხაზე ზღვები“ და სხვ.).

ბევრი დრო დაიკარგა ცოდნის შემოწმებისას, რის გამოც მასწავლებელი დროში ვერ ჩაეტია.

თეორიულად მასწავლებელი მომზადებულია, საჭიროებს მეთოდური დონის ამაღლებას. მან მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა აქტივიზაციას.

აღნიშნულ სკოლებში არ არის გამოყენებული კონტურული რუკები, ატლასები. არ ინერგება პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

საჩხერის რაიონის სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ საგანს ძირითადად დამაკმაყოფილებლად ასწავლიან არგვეთის საშუალო სკოლის მასწავლებლები შ. მეცხვარიშვილი, ვ. ტაბატაძე და თ. კვატაია.

მასწავლებელმა შ. მეცხვარიშვილმა კარგად ჩაატარა მათემატიკის გაკვეთილი V კლასში. მან მოკლე დროში, მაგრამ ყურადღებით და საფუძვლიანად შეამოწმა საშინაო დავალება, მოსწავლეებს მისცა საჭირო მითითებანი და კლასი ჩააბა გამრავლების განრიგადობის კანონით გამოსახულებათა გამარტივების მაგალითებზე ვარჯიშში. თითქმის ყველა მოსწავლე აქტიურად მონაწილეობდა მაგალითების გამოყვანისა და მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას. სახელმძღვანელოს № 282, 283 სავარჯიშოთა გადაწყვეტისას გამოვლინდა, რომ კლასმა, ძირითადად, დამაკმაყოფილებლად იცის მიმდინარე და გავლილი მასალა, მასწავლებელმა ყურადღება მიაქცია და ადგილი დაუთმო მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის მომენტს, რისთვისაც მას დიდაქტიკური მასალებიდან მომზადებული აქვს სათანადო ბარათები და იყენებს საჭიროების შემთხვევაში. კარგი იყო აგრეთვე ამავე სკოლის მასწავლებელ ვ. ტაბატაძის

მიერ IX კლასში ჩატარებული ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი: კლასს ღრმად და საფუძვლიანად აქვს გაგებული, მიმდინარე მასალა—მეორე ხარისხის უტოლობათა ამოხსნის ინტერვალური და გრაფიკული ხერხები. მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იციან გავლილი საპროგრამო მასალა. დამაჯერებელია მასწავლებლის საუბარი, ზომიერი, ტაქტიანია მისი მიდგომა მოსწავლეებისადმი.

შემოწმებული სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი მონდომებით არ მუშაობს, პასუხისმგებლობით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, ამიტომ დაბალ დონეზე დგას მათ მიერ გადაცემული გაკვეთილები, არასაკმაოა მათი მოსწავლეთა მომზადების დონე.

ცუდად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები: ლ. წიგნაძე, თ. ღუღუნიშვილი (საირხის საშუალო სკოლა), ვ. ქველიძე (საჩხერის I საშუალო სკოლა), ც. ცუხიშვილი, კ. მარგველაშვილი, ნ. ჯოჯუა (ჩიხის საშუალო სკოლა).

საჩხერის I საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ვ. ქველაძეს დამთავრებული აქვს გორის პედ. ინსტიტუტი, აქვს პედაგოგიური მუშაობის 5 წლის სტაჟი, 1972 წელს გაიარა გადასამზადებელი კურსები ქ. ქუთაისში, საერთოდ არ ჩანს, რომ საგანი არ იცის, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ შემოწმების დღეს მოუმზადებელი მოვიდა გაკვეთილებზე, ამიტომაც დაბალ დონეზე იდგა მის მიერ VII კლასში გადაცემული ალგებრის გაკვეთილი. ახალი მასალის—„რიცხვის სტანდარტული სახე"—ახსნისა და მასზე მუშაობის დროს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები არ გასწორდა, სამწუხაროდ, თვითონაც დაუშვა რამდენიმე უხეში შეცდომა.

გაკვეთილისათვის მოუმზადებელი მოვიდა საირხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ლ. წიგნაძე, მან X კლასში გეომეტრიის გაკვეთილი ყოველგვარი ორგანიზაციის გარეშე წარმართა, მის მიერ „ჩატარებული" გაკვეთილი არ შეესატყვებოდა გეგმას, რომელიც მას ფორმალურად ჰქონდა შედგენილი, არ დაიცვა გაკვეთილის ძირითადი მომენტები, საშინაო დავალების შემოწმებას დიდი დრო მოანდომა. იმის გამო, რომ თვითონ ვერ აგნებს ზოგიერთ გამოსახულებათა გარდაქმნების რაციონალურ გზებს, დაფა და მოსწავლეთა რვეულები ზედმეტი და ზოგჯერ უაზრო ჩანაწერებით ივსება, მაგალითად გეომეტრიული ამოცანის ამოხსნის პროცესში მიღებული

$$M_1K=\sqrt{\frac{p^2-(\sqrt{a}-\sqrt{q})^2(a+\sqrt{q})^2}{4\sqrt{a}+\sqrt{q}}}$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარტივებისათვის მოსწავლეები, მასწავლებლის მითითებით, ფესვქვეშ ჯერ კვადრატში ახარისხებას ახდენენ, ახარისხების დროსაც შეცდომებს უშვებენ, შემდეგ უჭირთ დაშვებული შეცდომების პოვნა და გასწორება, გაკვეთილის ძირითადი დრო ამ უსარგებლო გარდაქმნებში უნაყოფოდ იფლანგება. გაკვეთილის დამთავრებამდე რამოდენიმე წუთით ადრე მასწავლებელი იწყებს ამოცანის ამოხსნას, სავარჯიშო კრებულიდან არასწორად კითხულობს ამოცანის ტექსტს. მასწავლებელს მიაჩნია, რომ წესიერ წაკვეთილ პირამიდაში შესაძლებელია გვერდითი წიბო ფუძის სიბრტყის პერპენდიკულარული იყოს, ამით მცდარ გზაზე დამდგარი მასწავლებელი უხეშ შეცდომებს უშვებს, კლასს და დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეს არასწორ მითითებებს აძლევს. ცხადია, ამოცანის ამოხსნის გაგრძელება შეუძლებელი გახდა, გაკვეთილი ჩაშლამდე მივიდა. მასწავლებელი მდგომარეობიდან მხოლოდ ზარის ხმამ გამოიყვანა, გაკვეთილის პროცესში გამოვლინდა, რომ მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი საპროგრამო მასალა.

დაბალ დონეზე იდგა აგრეთვე ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელ თ. ღუღუნიშვილის მიერ VI კლასში ჩატარებული გეომეტრიის გაკვეთილი. თ. ღუღუნიშვილს დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის თბილისის პედ. ინსტიტუტი, აქვს 34 წლის მუშაობის სტაჟი, გადამზადებაც გაიარა 1973 წელს ქუთაისში. როგორც ჩანს, იგი არ იყო ცუდი მასწავლებელი, მაგრამ ახალი პროგრამებით სწავლება უჭირს. სერიოზული და უხეში შეცდომები დაუშვა მან გაკვეთილზე, მას არასწორად აქვს გაგებული ფიგურათა კონგრუენტულობის ცნება, ერთმანეთში ურევს ტოლობასა და კონგრუენტულობას, მოსწავლეებს მიმართავს: „ეხლა, შენ, ამიგე მოცემული სამკუთხედის ტოლი სამკუთხედი, ტოლი და კონგრუენტული ხომ ერთიდაიგივეა“. ცხადია, მოსწავლეებმაც დამახინჯებულად იციან განვლილი საპროგრამო საკითხები. VI კლასის გეომეტრიის სახელმძღვანელოდან მე-14 პუნქტის № 6 და № 8 სავარჯიშოებზე მუშაობისას მოსწავლეებმა დიდი უცოდინარობა გამოამჟღავნეს, მონაკვეთების სიგრძეთა ტოლობას მონაკვეთების კონგრუენტულობისაგან ვერ არჩევენ, არ აქვთ ათვისებული სიმძლავრეთა თეორიის ენა გეომეტრიაში იმ ფარგლებში, რაც მათ მოეთხოვებათ, არ იციან მანძილის თვისებები წრფეზე, არ ესმით ცნების „X წერტილი A და B წერტილებს შორის მდებარეობს“ გამოსახულების

ეზრი, ამიტომაც გაუგებარია მათთვის, თუ რას გამოსახავს ტოლობა „AB = (AX) + (XB)“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალ დონეზე დგას მათემატიკის სწავლება ჩიხის საშუალო სკოლაში. ძალზე უფერული, პედაგოგიურად და მეთოდურად გაუმართავი იყო კ. მარგველაშვილის მიერ IX კლასში ჩატარებული ალგებრის გაკვეთილი. მასწავლებელი საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას ფორმალურად და ზრელედ ახდენს, ახალი მასალის— კვადრატული განტოლების კერძო სახეები (როცა b კოეფიციენტი ლუწია) ახსნისას მასწავლებელს სათანადო სავარჯიშო წინასწარ არ ჰქონდა შერჩეული, სახელდახელოდ აიღო განტოლება $5x^2 - 16x + 4 = 0$, რომლის დისკრიმინატი 44-ის ტოლია, ფესვის ამოღებისათვის დასჭირდათ ცხრილების გამოყენება, ცხრილი მხოლოდ ერთ მოსწავლეს აღმოაჩნდა და, იმის მაგივრად, რომ კლასისათვის ეჩვენებინა $x = \frac{-k \pm \sqrt{k^2 - ac}}{a}$ ფორმულის გამოყენების უპირატესობა, კლასი, პირიქით, გაუგებრობაში ჩააგდო. მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს გავლილი მასალის ირგვლივ, მიუხედავად იმისა, რომ საკითხები: კვადრატული განტოლებანი, მისი კერძო სახეები, კვადრატული სამწევრი VIII კლასშია გავლილი, IX კლასში მათი გაღრმავება, და უფრო დეტალური შესწავლა ხდება, მოსწავლეებმა მაინც ვერ უპასუხეს ამ საკითხების ირგვლივ დასმულ კითხვებს, ვერ შეძლეს $ax^2 + b + c$ სამწევრიდან სრული კვადრატის გამოყოფა, ვერ ხედავენ განსხვავებას ორი რიცხვის სრულ კვადრატსა და არასრულ კვადრატს შორის, არ იციან არითმეტიკული ფესვის განსაზღვრა და სხვ.

ამავე სკოლის V კლასში, შემოწმების დღეს, მასწავლებელ ც. ცუხიშვილს თვითონ ჰქონდა დაგეგმილი მათემატიკაში საკონტროლო წერის ჩატარება. წერისათვის მასალა აღებული ჰქონდა ამ კლასისათვის განკუთვნილ დიდაქტიკურ სახელმძღვანელოში მოცემული საკონტროლო წერის ვარიანტებიდან, ჩვენი თანდასწრებით, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ჩატარდა საკონტროლო წერა. შედეგი ძალზე ცუდი აღმოჩნდა. წერით მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 28 მოსწავლემ, რომელთაგან მხოლოდ ერთმა მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება ,დანარჩენმა 27-მა შეფასება „2“ დაიმსახურა, მათ შორის არის ოთხი ისეთი მოსწავლე, რომელთაც მათემატიკაში მეოთხედური ოთხები უწერიათ. (ნამუშევრები გასწორდა და შეფასდა თვით მასწავლებლის მიერ). აღნიშნული ფაქტი კომენტარს აღარ საჭირო-

ებს და მასწავლებლის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე მეტყველებს. არასასურველი შედეგები გამოვლინდა აგრეთვე ამავე სკოლის X კლასში (მასწავლებელი ჟ. თურმანიძე) ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში ჩვენ მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერაში: 21 მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა მიიღო „4“. ოთხმა „3“, დანარჩენმა—16-მა მოსწავლემ შეფასება „2“ დაიმსახურა.

შემოწმებული სკოლების რიგ კლასებში ცუდად არის დაყენებული მოსწავლეთა საკლასო და საშინაო დავალების რეჟიმების წარმოების საქმე, ნამუშევრებს არ აქვს დაწერილი თარიღი, შესრულებულია უსუფთაოდ, ხშირ შემთხვევაში მაგალითები და ამოცანები ჩაწერილია და არ არის ამოხსნილი, ან დაწყებულია ამოხსნა და არ არის დამთავრებული, ნამუშევრები არ არის მასწავლებელთა მიერ შემოწმებული, არსად არ შეინიშნება მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისადმი რაიმე მითითების მიცემა. აღნიშნულ მდგომარეობას ადგილი აქვს ჩიხის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი კ. მარგველაშვილი), საირხის საშუალო სკოლის V, IX, X კლასებში (მასწავლებლები: დ. შუკაკიძე, ლ. ცარციძე, ლ. წიგნაძე) და სხვ.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ სათანადო სიმაღლეზე არ დგას საკონტროლო წერების ჩატარების საქმე მათემატიკაში. დარღვეულია წერის ნორმები, ხშირ შემთხვევაში თემატიკა სწორად არ არის შერჩეული და ვერ უპასუხებს მოთხოვნას. ნამუშევრები არ სწორდება გულდასმით და პასუხისმგებლობით. მაგალითად: ჩიხის საშუალო სკოლის IX—X კლასებში (მასწავლებლები: კ. მარგველაშვილი, ც. ცუხიშვილი) ნამუშევრები უხარისხოა, მასწავლებელთა მიერ გულდასმით არ არის შემოწმებული და ბევრი შეცდომა შეუნიშნავად და გაუსწორებლად არის დატოვებული, რის გამოც შეფასება ლიბერალურია და ფაქტიურ მდგომარეობას არ შეესაბამება. ამავე სკოლის V კლასში (მასწავლებელი ნ. ჯოჯუა) ძალზე უხარისხოა მათემატიკის საკონტროლო წერითი ნამუშევრები: ჩატარებული 9 საკონტროლო წერიდან თითქმის ყველას შედეგი ცუდია და მოსწავლეთა ძალზე დაბალ მომზადებაზე მეტყველებს. შეინიშნება, რომ მოსწავლეთა საკმაო ნაწილს ყველა წერაზე ორი აქვს მიღებული, მიმდინარე აღრიცხვის შედეგად დაბალი შეფასებანი აქვთ მიღებული, მეოთხედური შეფასებით კი დამაკმაყოფილებელი ნიშანი აქვთ გამოყვანილი. საკონტროლო წერების საქმეში ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება საირხის საშუალო სკოლის V, VII, X კლასებში (მასწავლებლები ლ. ცარციძე, თ. ღუღუნიშვილი, ლ. წიგნაძე)

მოსწავლეთა საკლასო, დამოუკიდებელი და საკონტროლო წერების ნორმალურად წარმოების უზრუნველსაყოფად შემოწმებული სკოლებიდან არცერთს (გარდა არგვეთის საშუალო სკოლის ზოგიერთი კუთხისა) არ აქვს დიდაქტიკური მასალებიდან შესაბამისი ვარიანტების სპეციალურად მომზადებული ბარათები, რაც ძალზე აფერხებს მუშაობას. სკოლებს არ გააჩნიათ აგრეთვე მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა: არ აქვთ თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები, პლაკატები, სქემები და არავითარი ტექნიკური საშუალებანი, ზოგან სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა მიერ თვითნაკეთ ხელსაწყოთა დამზადებასა და სწავლებაში გამოყენების საქმეს. მხოლოდ საჩხერის I საშუალო სკოლაში (მასწ. ა. მღებროვი) მოსწავლეთა მიერ დამზადებულია გეომეტრიული სხეულების მოდელური და გეომეტრიული ამოცანების ამოხსნასთან დაკავშირებული ზოგიერთი კვეთისა და აგების შესრულების სადემონსტრაციო მარტივი ხელსაწყოები. მათემატიკის კაბინეტებისათვის ცალკე საკლასო ოთახებია გამოყოფილი, მაგრამ კაბინეტები ჯერ კიდევ არ არის შექმნილი და სათანადოდ მოწყობილი.

შემოწმებულ სკოლებში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე მათემატიკის სწავლების საქმისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, დირექტორებსა და სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეებისაგან არასაკმაო რაოდენობით არის მოსმენილი მათემატიკის გაკვეთილები. არ არის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე ცალკე საკითხად განხილული მათემატიკის სწავლების მდგომარეობის საკითხი და, საერთოდ, პედსაბჭოს მიმდინარე სასწავლო წლის I ნახევრის სამუშაო გეგმებიც არ ითვალისწინებს აღნიშნული საკითხის განხილვას. ბევრგან, გაკვეთილების ცხრილის შედგენის დროს, სათანადოდ არაა გათვალისწინებული მათემატიკის გაკვეთილებისათვის შესაფერისი ადგილის შერჩევის საკითხი.

საჩხერის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ფიზიკას ასწავლიან სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლები. მათი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია ის, რომ გაკვეთილებზე არ იყენებენ კვლევის მეთოდს, მუშაობას ძირითადად საუბრის მეთოდით წარმართავენ, რაც ერთგვარად ართმევს მოსწავლეებს გაკვეთილის პროცესში აქტიურად მონაწილეობის უნარს. გარდა ამისა, კალენდარული გეგმების უქონლობის გამო, ჩამორჩებიან პროგრამას.

დამაკმაყოფილებლად ატარებენ გაკვეთილებს მ. ჯანხოთელი (ჩიხის საშ. სკოლა), ვ. მაჭარაშვილი (სხვიტორის საშ. სკოლა), ქ. სამ-ხარაძე (არგვეთის საშ. სკოლა). მათ კარგად წარმართეს [illegible] ვალების შემოწმების პროცესი, მოხდენილად, კარგად მოფიქრებული კითხვების მეშვეობით შეამოწმეს კლასის საერთო მომზადება და ობიექტურად შეაფასეს მოსწავლეთა ცოდნა.

აღნიშნული მასწავლებლები, ახალი მასალის გადაცემისას, ეფექტურად იყენებენ, სასწავლო თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. მაგალითად, ქ. სამხარაძემ X კლასში ეპიდიასკოპის მეშვეობით აჩვენა ნახაზები და სქემები ელექტრომაგნიტურ ტალღებზე, ხოლო სხვიტორის საშ. სკოლის მასწავლებელმა ო. ლომაძემ კარგად გამოიყენა თვალსაჩინოება ზედაპირულ დაჭიმულობასა და კაპილარობაზე.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი გააჩნიათ ფიზიკის სწავლებაში მერჯევის საშუალო სკოლის მასწ. პ. გრძელიშვილს, არგვეთის საშ. სკოლის მასწ. პ. ტაბატაძეს, ჩიხის საშ. სკოლის მასწ. ვ. ენუქიძეს, მახათაურის 8-წლიანი სკოლის მასწ. ნ. გულიტაშვილს, იტავაზის 8-წლიანი სკოლის მასწ. ნ. ტეფნაძეს, რომელთაც გაკვეთილი მიჰყავთ საკუთარი აქტიურობის ხარჯზე, მოსწავლეები კი პასიურ მსმენელებად რჩებიან.

აღნიშნული მასწავლებლები სრულყოფილად ვერ ამოწმებენ მოსწავლეთა მიერ განვლილი მასალის ცოდნას, უგულებელყოფენ წერით საშინაო დავალებას, ვერ იცავენ გაკვეთილის ძირითად მომენტებს, რის გამო, ხშირად, ზარის დარეკვის შემდეგ უხდებათ ახალი მასალის განმარტება და საშინაო დავალების მიცემა.

ფიზიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის, წარმატება სკოლაში მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასწავლო კაბინეტის გამართულობაზე, გაკვეთილისათვის მის მზადყოფნაზე. ამ მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობაა არგვეთისა და სავანის სკოლებში, სადაც ლაბორატორიული და სადემონსტრაციო ხელსაწყოებით მოწყობილი, სათანადო ფართობის მქონე კაბინეტებია. ცუდი მდგომარეობაა მახათაურის 8-წლიან და სხვიტორის საშუალო სკოლებში, სადაც კაბინეტები მოთავსებულია ვიწრო და ბნელ ოთახებში, ხოლო მათი ტექნიკური აღჭურვილობა საშუალებას არ იძლევა გაკვეთილი მაღალმეცნიერულ და მეთოდიკურ დონეზე წარიმართოს. მსგავსი მდგომარეობაა იტავაზის საშუალო სკოლაში, სადაც ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის „კაბინეტები“ ერთ ოთახშია მოთავსებული. აღნიშნულ

კაბინეტებში სადემონსტრაციო ცდების მხოლოდ 10—20%-ის [illegible]ბა შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სკოლების ფიზიკის მასწავლებლები ნაკლებად [illegible]ლობენ სასწავლო ფილმებით. მხოლოდ მერჯევის სწშუალო სკოლას აქვს ფილმოტეკიდან გატანილი 2 სასწავლო კინოფირი. როგორც წესი, ვერცერთი სკოლა ვერ ღებულობს სასწავლო ტელეგადაცემებს. არცერთ სკოლას არ აქვს დამონტაჟებული ელექტროგამანაწილებელი ფარი და სხვ. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საერთოდ, ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზიკის სწავლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ბიოლოგია არგვეთისა (მასწავლებელი ქ. ვახანია) და სხვიტორის (მასწავლებელი თ. გრძელიშვილი) საშუალო სკოლებში. მაგ.: არგვეთის საშუალო სკოლის VIII-ა კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა სწორად ასახელებს ორგანოებსა და ორგანოთა სისტემებს, იცის ქსოვილის განსაზღვრა, სისხლის შედგენილობა და მისი მნიშვნელობა, ხოლო VI-ა კლასის მოსწავლეები შინაარსიანად გადმოსცემენ გაკვეთილს—„ბაქტერიები, მათი აგებულება, გამრავლება და გავრცელება". სხვიტორის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეების ერთმა ნაწილმა იცის ბიოლოგიის ცნების განსაზღვრა, ყვავალოვან მცენარეთა კლასიფიკაცია, რთულყვავილოვანთა ოჯახის კულტურული და ველური სახეობანი. ამასთან, იცნობენ სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებებსა და რაიონის საწარმოო მაჩვენებლებს. აღნიშნულის მიუხედავად, მასწავლებლებს ქ. ვახანიას და თ. გრძელიშვილს შეუძლიათ უკეთესად ასწავლონ ბიოლოგიის სასკოლო კურსი.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ბიოლოგია მახათაურის (მასწავლებელი ს. აბუთიძე) რვაწლიან სკოლაში. დასახელებული სკოლის VIII კლასის მოსწავლეთა უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს ორგანიზმის შინაგან გარემოზე, მის შედგენილობასა და ქსოვილურ სითხეზე. VII² კლასის მოსწავლეები ვერ ასახელებენ უმარტივესი ცხოველების, ღრუბლების, ნაწლავღრუიანების, ბრტყელი და მრგვალი და რგოლოვანი ჭიების ტიპებს, არ იციან ფეხსახსრიანი ცხოველების სისტემატიკური ერთეულები. ამავე კლასში უფერულად, კითხვა-პასუხით ჩატარდა გაკვეთილი თემაზე „რიგი—ორფრთიანები ანუ ბუზები" მასწავლებელმა ახალი გაკვეთილი „ფეხსახსრიანთა ტიპის საერთო დახასიათება" მეტად უინტერესოდ, 10 წუთ

ში ახსნა. როგორც მის მიერ ჩატარებული გაკვეთილების შემოწმებით გამოირკვა, მასწავლებელი ს. აბუთიძე არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებს ცდებს ლაბორატორიული ხასიათის სამუშაოებს, უყურადღებოდ ტოვებს სალექსიკონო მასალაზე მუშაობას, არ აკონტროლებს საშინაო რვეულების წარმოებას, ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნას.

დაბალ დონეზე ჩატარდა ბიოლოგიის გაკვეთილები საირხის (მასწავლებელი კ. შამანიძე) საშუალო სკოლაში, იქ VIII-ა და VIII-ბ კლასების მოსწავლეების უმრავლესობამ გავლილი მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინა—მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ორგანიზმზე, ორგანოებსა და ორგანოთა სისტემაზე, არ იციან, რისგან შედგება ორგანიზმი და ქსოვილები, რა წარმოადგენს ორგანიზმის ძირითად სისტემატიკურ ერთეულს. ბიოლოგიაში სუსტი ცოდნა გამოავლინეს აგრეთვე ჩიხის (მასწავლებელი ნ. მარგველაშვილი) საშუალო სკოლის VI-ა და VII-ბ კლასის მოსწავლეებმა. შემოწმებული სკოლებიდან, დადგენილი ნორმის მიხედვით, სასწავლო-საცდელი ნაკვეთები არ აქვს არგვეთისა და სხვიტორის საშუალო სკოლებს. შემოწმებული სკოლების ნაკვეთები დაუგეგმავი, შეუღობავი და მოუვლელია, მათზე მოწყობილი არ არის სასათბურე მეურნეობები და ბიოლოგიის განყოფილებები, ნაკვეთზე არ ტარდება არავითარი საცდელი და პრაქტიკული მუშაობა. სკოლებისათვის ცნობილი არ არის მითითებანი სასწავლო-საცდელი ნაკვეთისა და ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობის შესახებ.

საირხის, სხვიტორისა და ჩიხის საშუალო და მახათაურის რვაწლიან სკოლებს ცალკე არ აქვთ ბიოლოგიის კაბინეტი, 1972—1973-სასწავლო წლიდან სკოლებს ბიოლოგიის კაბინეტების მოსაწყობად ბითქმის არაფერი შეუძენიათ, ამასთან, ადგილობრივი საშუალებებით არ დაუმზადებიათ თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღები, არ შეუგროვებიათ საჭირო სასწავლო მასალები.

არასწორად არის განაწილებული ზოგადი ბიოლოგიის გაკვეთილები ჩიხის საშუალო სკოლაში, სადაც ამ საგნის 6 გაკვეთილი ორ მასწავლებელზე ნაწილდება (IX^1 და IX^2 კლასებში 2 გაკვეთილი მიცემული აქვს მასწავლებელ ნ. მარგველაშვილს, ხოლო X^1 და X^2 კლასების 4 გაკვეთილი—მასწავლებელ ელენე მაჭავარიანს).

სხვიტორის საშუალო სკოლაში შრომითი სწავლების გაკვეთილები მიცემული აქვს არასპეციალური განათლების მქონე ფიზკულტურისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებლებს.

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას საჩხერის რაიონის რიგ სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა. იგი, ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელის უკონტროლობისა და ფიზაღზრდის მასწავლებლის უპასუხისმგებლობის წყალობით, თვითდინებაზეა მიშვებული.

რაიონის ბევრ სკოლაში სრულიად მოუვლელია ფიზკულტურულ-სპორტული ბაზები, ურომლისოდაც სპორტული ღონისძიებების გამართვა ყოვლად წარმოუდგენელია.

საჩხერის 1-ლი საშუალო სკოლის ეზოში ცუდ მდგომარეობაშია 100 მეტრზე სარბენი ბილიკი და სახტომი ორმო, ზამთარში მეცადინეობის ჩასატარებლად გამოყოფილია მცირე ზომის (16×6) სპორტული დარბაზი, რომელიც მოუვლელია, წესრიგში არ არის მოყვანილი გასახდელები, იატაკი ბეტონისაა, ხოლო სანიტარული კვანძები გაუქმებულია.

მერჯევის საშუალო სკოლასაც მცირე ზომის მოუწყობელი სპორტული დარბაზი გააჩნია, ეზოში სპორტულ სექტორებზე ბალახია ამოსული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ბაზებზე არავითარი მუშაობა არ წარმოებს.

ანალოგიურ მდგომარეობაშია საირხისა და სხვიტორის საშუალო სკოლების, მახათაურის 8-წლიანი სკოლის სპორტული ბაზები. აქ, სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების უპასუხისმგებლობისა და დირექციის უზრუნველობის გამო, ყოვლად აუტანელი პირობებია შექმნილი.

მათთან შედარებით უკეთესად გამოიყურება არგვეთის საშუალო სკოლის ბაზა, სადაც, ფიზკულტურის მასწავლებლის მონდომებული მუშაობის შემთხვევაში, ყველა შესაძლებლობაა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის წარმატებით გაშლისათვის.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ არგვეთის საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებლები ი. ბლიაძე და ჟ. ფანჩულიძე.

მასწავლებლები სისტემატურად ადგენენ გაკვეთილების გეგმებს. ყველა მოსწავლე ფორმით ცხადდება მეცადინეობაზე. სათანადო ყურადღება ექცევა მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების საკითხს, რის შედეგად ამ სკოლის მოსწავლეები კარგ შედეგებს აღწევენ რაიონულ შეჯიბრებებზე.

ძალზე ცუდი სპორტული და სასწავლო-მატერიალური ბაზა გააჩნია ჩახის საშუალო სკოლას, მაგრამ ფიზკულტურის მასწავლებელი კ. მაჭავარიანი ცდილობს არაფერი დააკლოს აღსაზრდელებს. იგი ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და ცდი-

ლობს მათ გამოსწორებას. მასწავლებლის მუშაობას ძალზე აძნელებ-
ის გარემოება, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა სხვა 8-წლიანი სკო-
ლებიდანაა მოსული და, როგორც წესი, საპროგრამო მასალის
ბალ ცოდნასა და სუსტ ფიზიკურ მომზადებას ამჟღავნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაკისრებულ მოვალეობას ვერ უძღვება საჩხერის 1-ლი საშუა-
ლო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი შ. მაჭავარიანი. იგი
გაკვეთილის გეგმებს ისე ადგენს, რომ გაუგებარია, რა მიზანს ისახავს
გაკვეთილი. მოსწავლეებმა არ იციან სამწყობრო მომზადებაში განვ-
ლილი საპროგრამო მასალა (ადგილზე ბრუნვები, ადგილზე სიარული
და სხვ.). მასწავლებელი ბავშვებს არასწორად უჩვენებს ვარჯიშებს,
რაც მისი მომზადების დაბალ დონეზე მეტყველებს. შ. მაჭავარიანის
მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს ორგანიზაციული ხარვეზებიც გააჩნია.
ხშირად მასწავლებელი სწორად ვერ საზღვრავს გაკვეთილის დროს—
ვერ ასწრებს დასკვნითი ნაწილის ჩატარებას. ნაწილი მოსწავლეებისა
უფორმოდ ცხადდება გაკვეთილებზე.

სუსტად მუშაობს მერჯევის საშუალო სკოლის ფიზკულტურის
მასწავლებელი ლ. იაკობაშვილი (სპეციალობით—ეკონომისტი). მოს-
წავლეებმა არ იციან რიგზე გათვლა, პატაკის ჩაბარება, სამწყობრო
სიარული. თვით მასწავლებელს საფუძვლიანად არ აქვს დამუშავებუ-
ლი პროგრამა, რის გამოც გაკვეთილში ითვალისწინებს ისეთ სპორ-
ტულ იარაღებზე ვარჯიშს, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინე-
ბული. გაკვეთილზე მოისუსტებს დისციპლინა, მოსწავლეთა ნაწილი
სპორტული ფორმის გარეშე, დაგვიანებით ცხადდება მეცადინეობაზე.
მასწავლებელი ლ. იაკობაშვილი ზუსტად ვერ ანაწილებს დროს, რის
გამოც ვერ ასწრებს გაკვეთილის დასკვნითი ნაწილის ჩატარებას. მას-
წავლებელი არ ადგენს გაკვეთილის გეგმებს.

იაკობაშვილს კლასგარეშე სპორტულ-მასობრივი მუშაობის ჩა-
ტარების შესახებ ხრავითარი დოკუმენტი არ მოეპოვება, რის გამოც
შეუძლებელია დადგინდეს, რა საქმიანობას ეწევა მოსწავლეთა ფიზ-
კულტურული კოლექტივი.

მასწავლებლის სუსტი მუშაობის შედეგია, რომ მერჯევის საშუ-
საშუალო სკოლის მოსწავლეები დაბალ შედეგებს უჩვენებენ რაიო-
ნულ სპორტულ ღონისძიებებში.

მართალია, მახათაურის 8-წლიან სკოლაში ვერ მოხერხდა ფიზ-
კულტურის გაკვეთილების მოსმენა, რადგან შემოწმების დღეს მასწავ-
ლებელი სკოლაში არ იმყოფებოდა, მაგრამ მასწავლებელ ნ. მუკათა-
რიძის ცუდ მუშაობასა და ბავშვთა ფიზიკური აღზრდისადმი სკო-

ლის დირექციის სუსტ კონტროლზე მეტყველებს ის, რომ სკოლაში თვითდინებაზეა მიშვებული სპორტული ბაზების მოვლა-პატრონობის საქმე. სკოლის ფეხბურთის მოედანი ბატების საცურაო აუზად არის გადაქცეული, ხოლო კალათბურთის მოედნის წაქცეული ფარი ელექტრობოძს უჭირავს. მოუწყობელია სპორტული ოთახიც, სადაც მხოლოდ ღერძი დგას, სხვა სპორტული ინვენტარი სკოლას არ გააჩნია.

სოფელ სხვიტორის საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლეებმა (მასწ. ვ. დოლაძე—საშ. სპეციალური განათლებით, იგივე შრომის მასწავლებელი) არ იციან რიგზე გათვლა, პატაკის ჩაბარება. სამწყობრო სიარული, კალათბურთის ბურთის ტარება, კალათში ტყორცნა. ისინი სწორად ვერ ასრულებენ ამანათის გადაცემასა და ხელყუმბარის ტყორცნას. მასწავლებელი ვერ ამჩნევს ვარჯიშის დროს დაშვებულ შეცდომებს, ზოგჯერ არასწორად უჩვენებს ვარჯიშის შესრულების ხერხს. იგი ზუსტად ვერ საზღვრავს იმ თავისუფალ ვარჯიშებს, რომელიც გაკვეთილის მიზნებს შეესაბამება.

ფიზიკურ აღზრდაში არსებული სავალალო მდგომარეობა უშუალოდ იმით არის გამოწვეული, რომ რაიონის განათლების განყოფილება და აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელები საჭირო კვალიფიციურ კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს. არსებული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საჩხერის განათლების განყოფილებამ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს.

საბჭოთა სკოლის უმთავრესი ამოცანაა აღზარდოს მორალურად მტკიცე, სულიერად და ზნეობრივად სპეტაკი ახალგაზრდობა, რომელიც მზად იქნება, თავისი ცოდნითა და შრომით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს ემსახუროს. ამ დიად მიზანს, ცალკეული საგნების სწავლებასთან ერთად, ემსახურება პიონერული და კომკავშირული მოძრაობა, მთელი კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა.

საჩხერის რაიონის სკოლებში იდეურ-ზნეობრივი აღზრდის წარმატებით უშუალოდ არის დაინტერესებული პარტიის საჩხერის რაიკომი, რომლის ინიციატივითაც მალე რაიონის შესანიშნავი კულტურის სახლი პიონერების გამგებლობაში გადავა.

რაიონის პიონერული და კომკავშირული მუშაობის სულისჩამდგმელია ალკკ რაიკომი, რომელიც, ხშირად, თავისი ბიუროს მსჯელობის საგნად ხდის სკოლებში პიონერული. და კომკავშირული,

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ასეთი დიდი ყურადღებისა, რაიონის პიონერული და კომკავშირული ხელმძღვანელობის მხრივ, საჩხერის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული პიონერული და კომკავშირული, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.

როგორც წესი, სკოლებში პიონერული და კომკავშირული მუშაობის მეთოდური ცენტრია რაიონის პიონერთა სახლი, მაგრამ საჩხერის რაიონის პ/სახლი ამ მხრივ ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს სკოლებს. პ/სახლის მუშაკები სკოლების იშვიათი სტუმრები არიან, არ ატარებენ სკოლებთან ერთობლივ ღონისძიებებს, პრაქტიკაში არ აქვთ დანერგილი სკოლის ბაზაზე წრის მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

პიონერთა სახლის დირექტორი ამხ. ნ. კომლაძე უფრო ადმინისტრაციული მუშაობითაა დაინტერესებული, ვიდრე მეთოდურით, ამიტომ ნაკლებად ერკვევა ამ საკითხებში, რომლებიც ძირითადი და წამყვანია პ/სახლის მუშაობაში.

პ/სახლის მუშაობის შესახებ 1975 წლის 29 იანვარს საჩხერის რაიონის კომკავშირის რაიკომის ბიურომ იმსჯელა. მიღებული დადგენილების შემოწმება გათვალისწინებული იყო მიმდინარე წლის ივნისის თვეში, მაგრამ ჯერ არ განხილულა.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ, საერთოდ, საჩხერის რაიონის სკოლებში 10 წლის განმავლობაში არავის შეუსწავლია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და არც მეთოდური დახმარება გაუწევია ვისმეს. ამის გამო სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებებია. განათლების განყოფილების გამგე ამხ. კ. ნადირაძე სულ რამდენიმე თვეა მუშაობს, ის ჯერ კიდევ არ იცნობს ყველა იმ მეთოდურ მითითებას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ აღმზრდელობით მუშაობაში. სკოლებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორის საქმეები არასწორად არის განაწილებული. მათ არ იციან თავიანთი მუშაობის არსი, რის გამოც სკოლები კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ნაკლოვანებებს განიცდიან. ორგანიზატორები არ ესწრებიან გაკვეთილებს მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით ფორმირების საკითხთან დაკავშირებით. კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა დაბალ დონეზეა, დავიწყებული აქვთ პროგრამა ორიენტირი, საკავშირო პიონე-

რული მარშის—„მზად ვარ„—„კომუნისტებისაგან .ვიღებთ მაგალითს„—მარშრუტები. კომკავშირის რაიკომი ისევ არასწორი მეთოდით ხელმძღვანელობს ორგანიზატორების მუშაობას, ესეც ერთ-ერთი მიზეზი თაგანია სკოლებში აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა. მეთოდკაბინეტში კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობას არავინ ხელმძღვანელობს.

ამის უშუალო შედეგია ის ნაკლოვანებანი, რომელიც ბრიგადის მიერ იქნა გამოვლენილი სკოლებში შემოწმების პერიოდში.

საჩხერის 1-ელ საშუალო სკოლაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორია ჟ. ღაღანიძე (უმაღლესი განათლებით, გეოგრაფი, პედ. მუშაობის სტაჟი 4 წ.). მას სამუშაო გეგმა გადაწერილი აქვს საორიენტაციო გეგმიდან, ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე. ძალიან ბევრი საკითხი აქვს გათვალისწინებული შესასრულებლად, რაც არარეალურია, იგი კომკავშირის რაიკომის დავალებით მხოლოდ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს, რის გამოც კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობისათვის არ სცალია.

ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს კლასის ხელმძღვანელთა გეგმები: VII [1] კლ. ხელმძღვანელს, ამხ. პ. დონაძეს სამუშაო გეგმაში შეტანილი აქვს—მშობლებთან ერთად კლასის კრების ჩატარება, სადაც შემდეგი საკითხების განხილვა აქვს განზრახული:

1. კლასის მამასახლისის ანგარიშგება—არჩევნები;
2. სანიტარული კომისიის არჩევნები;
3. საქართველოს პიონერთა XI რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა პიონერისადმი; რითაც დაამთავრა თავის სახელმძღვანელო რაზმთან მუშაობა.

X [2] კლასის ხელმძღვანელის ამხ. ვ. ქველაძის სამუშაო გეგმას არა აქვს სრული სახე. იგი დამთავრებულია თუ არა, ან რა წერია, ვერვინ გაიგებს, ამავე დროს, არავის მიერ არ არის განხილული.

პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. თ. აბჟანდაძეს, რატომღაც, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ თავის სამუშაო გეგმაში (იგულისხმება 1974/75 სასწ. წლის გეგმა) მხოლოდ პიონერული ორგანიზაციის მუშაობაზე გაამახვილოს ყურადღება. 1975—76 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა მას ჯერ-ჯერობით არ აქვს შედგენილი, ხოლო კომკავშირულ ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობა უშუალოდ ორგანიზატორზეა მინდობილი

კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. შუკაკიძე X¹ კლასის მოსწავლეა, შედგენილი აქვს 1975—76 სასწავლო წლის პერსპექტიული გეგმა, სადაც ტრაფარეტული დასახელების ღონისძიებებია შეტანილი. მან არ იცის პოლიტიკური მუშაობის სექტორის არსი, ვერ ერკვევა საკავშირო პიონერულ მარშრუტებში, არ იცის არც გასული, არც ახალი წლის დევიზები. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ვერ გაუწევს დახმარებას პიონერულ ორგანიზაციას, რაზმის ხელმძღვანელებს, ამისთვის იგი სრულიად მოუმზადებელია.

პ/ხელმძღვანელი ამხ. რ. დეკანოსიძე ვერ იჩენს საქმისადმი ქმედით დამოკიდებულებას. პიონერთა ოთახი, მართალია, პატარაა, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის, საკავშირო პიონერული მარშის მიმდინარეობის შესახებ შეუძლია გამოიყენოს სკოლის 1-ლი სართულის ვესტიბიული.

სკოლას კარგად აქვს გაფორმებული მხოლოდ მეორე სართული.

მერჯევის საშუალო სკოლის ორგანიზატორს ავთ. დეკანოსიძეს (ისტორიკოსი, პედ. მუშაობის სტაჟი 4 წელი) სამუშაო გეგმა საორიენტაციო გეგმის მიხედვით აქვს შედგენილი. იგი ვერ გარკვეულა თავის ფუნქციებში და ამაში ვერც სკოლის დირექტორი ეხმარება. კლასის ხელმძღვანელთა გეგმები, რომელთა განხილვა, წესით, მას უნდა ევალებოდეს, მისი კონტროლის გარეშეა, რის გამოც ისინი ვერ ეხმაურებიან თანამედროვეობას.

სკოლაში ერთადაა მოთავსებული პიონერთა ოთახი და ბიბლიოთეკა, რაც ძალზე აძნელებს მათ მუშაობას. ისინი ურთიერთისაგან თხელი ფიერფიცრით არიან გამოყოფილი. თვალსაჩინოებისათვის არ არის გამოყენებული სკოლის შენობის ვესტიბიული, რის გამოც სკოლა ძალზე ღარიბად გამოიყურება.

არგვეთის საშუალო სკოლის ორგანიზატორი მ. ჯოხაძე აბსოლუტურად ვერ ერკვევა თავის ფუნქციებსა და მოვალეობებში. მისთვის არავის გაუწევია მეთოდური დახმარება, რის გამოც ელემენტარული საკითხებიც კი არ იცის. მთელი მისი მუშაობა ამოიწურება იმით, რომ კომკავშირის რაიკომის მითითებით აღრიცხვიდან მოსახსნელი კომკავშირლების საკითხი უნდა მოაგვაროს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. ამხ. გ. ჯოხაძეს აკისრია როგორც კლასის ხელმძღვანელების, აგრეთვე საგნობრივი წრეებისადმი ხელმძღვანელობა. კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმის შემოწმებისას აღმოჩნდა,

რომ მათი სამუშაო გეგმები სასწავლო ნაწილის გამგეს ზ. მოლოდაძეს განუხილავს.

X³ კლასის ხელმძღვანელს ა. კერესელიძეს 1975—76 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა გადაწერილი აქვს IX³ კლასის 1974—75 სასწავლო წლის სამუშაო გეგმიდან (იგი გასულ წელს ამავე კლასის ხელმძღვანელი იყო), X⁴ კლ. ხელმძღვ. გ. ტოგონიძის სამუშაო გეგმა სრულყოფილი არ არის, რაც იმაში გამოიხატება, რომ ღონისძიებების ჩატარებაში პასუხისმგებელი შემსრულებელი არ არის წაჩვენები, ასევე არ არის მითითებული შესრულების დრო.

VI-ბ კლასის ხელმძღვ. ც. მოდებაძე გეგმაში აღნიშნავს, რომ დაეხმარება რაზმის ხელმძღვანელს კლასში პიონერული ორგანიზაციის მუშაობის სწორად წარმართვის საქმეში (კი არ უნდა დაეხმაროს რაზმის ხელმძღვანელს, არამედ თვითონ უნდა უხელმძღვანელოს).

უფ. პ/ხელმძღვანელი ზ. გუდაძე ამ სკოლაში მუშაობს 1975 წლის 1/X-დან, ამიტომ მის მიერ შედგენილი სამუშაო გეგმაც ნაჩქარევია, არ არის განხილული და დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. პიონერთა ოთახი, ფართობის მხრივ, საუკეთესოა, მაგრამ იგი ჯერ-ჯეობით მოუწყობელია. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ყველაფრის წესრიგში მოყვანა.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის გამგემ ამხ. ნ. მეცხოვრიშვილმა, რომელმაც ასევე 1/IX-დან დაიწყო მუშაობა, მოასწრო 5925 ცალი წიგნის დამუშავება, მოკლე დროში მოახერხა მოსწავლეთათვის მხატვრული ლიტერატურის სარეკომენდაციო სიის შედგენა კლასების მიხედვით და ბიბლიოთეკას სასიამოვნო ელფერი მისცა. დროზე მოაწესრიგა ის აუცილებელი, რაც მას მუშაობისათვის სჭირდება—მოასწრო კედლის გაზეთის გამოშვება, გამოფენებისა და ყოველდღიური პრესის განლაგება. მას, ალბათ, საქმისადმი სხვებზე უფრო მეტი სიყვარული და მონდომება ამოქმედებს.

ჩიხის საშუალო სკოლის ორგანიზატორი მ. დიდბერიძე (გეოგრაფი, პედ. მუშაობის სტაჟი 5 წ.) ხელმძღვანელობს როგორც საგნობრივ წრეებს, ისე კლასის ხელმძღვანელებს, რაც სწორი არ არის. მის სამუშაო გეგმაში არ იგრძნობა სიახლე, ასევე ზერელე და არაფლისმთქმელია კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები.

პარტორგანიზაციის მდივანი მ. ბიჭიაშვილი ვერ უწევს ქმედით დახმარებას პ/კომკავშირულ ორგანიზაციას. მას 1975—1976 სასწავლო წლის სამუშაო გეგმაც კი არ გააჩნია.

სხვიტორის საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელთა გეგმები, იმის გამო, რომ სკოლის დირექციის სათანადო კონტროლსა და დამარებასაა მოკლებული, სავსეა შეუსაბამობით. ზოგიერთი ერთეული საგანია გადაწერილი (IX-ა და IX-ბ კლასების ხელმძღვანელების ძ. გელბახიანისა და ნ. ჭიტაძის). პიონერული კლასების ხელმძღვანელთა გეგმებში არ არის გათვალისწინებული პროგრამა-ორიენტირი, ყურადღება არ ექცევა საკავშირო პიონერულ მარშებსა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ორგანიზატორი მუშაობაში არ ხელმძღვანელობს ერთიანი სამუშაო გეგმით. იგი უპირატესად დაკავებულია სკოლის დირექტორისა და სასწავლო მუშაობის დარგში მისი მოადგილის ყოველდღიური დავალებების შესრულებით. სკოლაში არ იგრძნობა მისი ხელმძღვანელი როლი.

პიონერთა ოთახის ნახვა, პ/ხელმძღვანელის არყოფნის გამო, ვერ მოხერხდა, მაგრამ თუ, საერთოდ, სკოლის გაფორმებით ვიმსჯელებთ, სადაც პ/ორგანიზაციის სახეც უნდა ჩანდეს, არც პ/ოთახში იქნება იდეალური მდგომარეობა.

სკოლის ე. წ. ბიბლიოთეკა საშინელ მდგომარეობაშია. იგი ღია ვერანდაზეა მოთავსებული და წიგნებზე თარეშობს წვიმა და ქარი. ამ „ბიბლიოთეკით" სარგებლობა ყოველდ შეუძლებელია.

ზემოაღნიშნული სკოლების პ/ხელმძღვანელთაგან ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს იტავაზის რვაწლიანი სკოლის უფ. პიონერხელმძღვანელი ნ. შაოშაძე. ამ სკოლაში პ/ოთახი ნორმალურად გამოიყურება—გამოფენილია საკავშირო პიონერული მარშის—„მზად ვართ", „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს"—ყველა მარშრუტის მასალები. პ/ხელმძღვანელს შედგენილი აქვს პერსპექტიული გეგმა, იგი კარგად ერკვევა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შესახებ. მისი შექმნის ინიციატორია ამ სკოლის ყოფილი მასწავლებელი, ამჟამად საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი მ. გოგატიშვილი. აღნიშნულმა მუზეუმმა თავი მოუყარა ისეთ უნიკალურ ნიმუშებს, რომლებზეც განთქმული სახელმწიფო მუზეუმებიც არ იტყოდნენ უარს. მუზეუმი შესანიშნავ დარბაზშია მოთავსებული. სტენდები ისეა განლაგებული, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობენ საჩხერის რაიონში აღმოჩენილ სიძველეთა შესახებ—ქვეყნის ისტორიაზე. ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის შესახებ წერილები დაი-

ბეჭდა შორეული იაპონიის პრესაში. მისი მუშაობა განზოგადების ღირსია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

როგორც საკითხის შესწავლიდან ირკვევა, რაიონის სკოლებში საფანადო დონეზე ვერ დგას პიონერული და კომკავშირული მუშაობა, მათ ვერავითარ მეთოდურ დახმარებას ვერ უწევს რაიონის პიონერთა სახლი, რომლის მუშაკები თვით საჭიროებენ მეთოდიკის ზოგიერთ საკითხში გარკვევას. ვერც ზოგიერთი სკოლის პ/პარტორგანიზაციის მდივნები იჩენენ საჭირო მზრუნველობას ამ ორგანიზაციებისადმი, ხოლო ბევრ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორს საკუთარი უფლება-მოვალეობაც ვერ გაურკვევია. შემოწმებიდან ჩანს აგრეთვე, რომ პიონერული და კომკავშირული კლასების ზოგიერთი ხელმძღვანელი ღრმად ვერ ერკვევა პედაგოგიკის ძირითად საკითხებში, მათ სამუშაო გეგმებს ატყვია საქმის უცოდინარობისა და ზოგჯერ კი არაკეთილსინდისიერების ნაკვალევი. უფ. პიონერ-ხელმძღვანელებს, ხშირად, უჭირთ მუშაობის ისე წარმართვა, როგორც ამას საქმე მოითხოვს, რადგან არ გააჩნიათ საამისო ბაზა, მხარდაჭერა და დახმარება უფროსი ამხანაგებისაგან, კოლეგებისაგან.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი ნაცადი და და გამართლებული ფორმაა საგნობრივი წრე. აქ იკმაყოფილებს მოსწავლე ცოდნის იმ წყურვილს, რომლისათვისაც შეიძლება გაკვეთილი არც კი იყოს საკმარისი. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საჩხერის რაიონის სკოლებში?

წრეობრივი მუშაობის კარგ მაგალითს გვიჩვენებს ჩიხის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ბიჭაშვილი. მართალია, ზოგიერთი დოკუმენტის გაფორმებაში მას შეცდომებიც აქვს დაშვებული (რაზეც საუბარში მიეთითა), მაგრამ ქებით უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურ.ის წრის ღონისძიებანი საკლასო ოთახში არ გამოუკეტია. ლიტერატურის წრის წევრებს ჩაუტარებიათ ვარდობის თვისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება და ამ შეკრებაზე რაიონის მოწინავე ადამიანები მიუწვევიათ.

წრეს გააჩნია მუშაობის ამსახველი, გემოვნებით გაფორმებული ალბომი, სამუშაო გეგმა, ოქმებისა და დღიურების რვეული. აღნიშნული წრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ თბილისის პიონერთა და

მოსწავლეთა სასახლის საკრებულო „ქართული ენის საუნჯის" მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდად მუშაობენ რუსული ენის საგნობრივი წრეები რაიონის თითქმის ყველა სკოლაში. მოსწავლეთა გათვითცნობიერების საქმეში არ იყენებენ იმ მდიდარ შესაძლებლობებს, რომლებიც ამ საქმეში გააჩნიათ სასკოლო ბიბლიოთეკებს.

მთლიანად რაიონის სკოლებში არ დგას სათანადო სიმაღლეზე ისტორიის საგნობრივი წრეების მუშაობა, ხშირად მოსწავლეებს ეძლევათ ასეთი თემები, რომლებიც ვერ უნერგავენ კვლევით ჩვევებს.

მსგავსი ვითარებაა გეოგრაფიის წრეების მუშაობაშიც, თუ არ ჩავთვლით ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომლის შინაარსიან მუშაობაზე ზემოთ აღინიშნა.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის კოორდინაციას აწარმოებს განათლების განყოფილება, რომელიც თავისი სასკოლო ინსპექტორებისა და მეთოდკაბინეტის მეთოდისტების საშუალებით კონტროლსა და დახმარებას უწევს მისდამი დაქვემდებარებულ სკოლებსა და სკოლისგარეშე აღმზრდელობით დაწესებულებებს.

განათლების განყოფილება სპეციალობათა მიხედვით კარგად არის დაკომპლექტებული: გამგე—ნ. კ. ნადირაძე მათემატიკოსია, სასკოლო ინსპექტორები—რუსული ენისა და ისტორიის სპეციალისტები, ხოლო მეთოდკაბინეტი კი ისტორიის, ფიზიკის, უცხო ენისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებით არის წარმოდგენილი.

განათლების განყოფილებას შეუსწავლია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა ჯალაურთის საშუალო სკოლაში 20—31 ოქტომბერს, გორისის საშუალო სკოლაში—20 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე და ორღულის 8 წლიან სკოლაში—29 ოქტომბერს, მაგრამ შემოწმების დროისათვის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო განხილული სახალხო განათლების საბჭოზე.

განათლების საბჭოს სხდომაზე განუხილავთ საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები.

უნდა აღინიშნოს, რომ საჩხერის რაიონში, ადრე, ფუნქციონირებდა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, დღეს იგი, რატომღაც, გაუქმებულია.

რაიონის პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ამხ. კ. ხოჯაშვილი) მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს 17 საშუალო, 15 რვაწლიან, 16

დაწყებითსა და 6 საღამოს საშუალო სკოლას. ბუნებრივია, 4 მუშაკით წარმოდგენილ ამ დაწესებულებას, რომელსაც ფაქტიურად ერთ-პექტორო მუშაობაც უწევს, გაუჭირდება თავი გაართვა ასეთ-რებულ მოვალეობას. ამას ისიც აუარესებს, რომ ზოგიერთ მეთოდისტს კარგად ვერ გაუგია მუშაობის არსი, უჭირს სამუშაო გეგმის სწორად შედგენა და ამის გამო მუშაობის სწორად წარმართვა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტ ნ. ქავთარაძეს, მიუხედავად გამოუცდელობისა, არ აკლია არც თეორიული ცოდნა და არც მეთოდიკური ოსტატობა. მის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები, საერთოდ, დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აკლია კონკრეტულობა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაში (ხელმძღ. შ. გულიაშვილი) 87 პედაგოგია გაერთიანებული. სექციის სამუშაო გეგმაში, მთელი რიგი საჭირო საკითხების გვერდით, ვხვდებით ისეთებსაც, რომელთაც არაფრის მიცემა არ შეუძლიათ მასწავლებელთათვის და, საერთოდ, საკითხებად შეიძლება არც კი ჩაითვალოს. მაგალითად: „დემოგრაფიული ცნობები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შესახებ“, „კურსებგაუვლელ მასწავლებელთა აღრიცხვის ჟურნალის შექმნა და ლექტორის გამოყოფა“ და ა. შ. გარდა ამისა, გეგმაში არ არის მითითებული, როდის უნდა შესრულდეს ესა თუ ის საკითხი და ვინ აგებს პასუხს მის შესრულებაზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციის სხდომაზე მასწავლებლებს მოუსმენიათ მოხსენებები ისეთ საჭირო საკითხებზე, როგორიცაა: მეტყველების განვითარება სახე-პერსონაჟის დახასიათებისა და ლიტერატურის თეორიის სწავლებისას; მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდა და სხვ. მაგრამ, მათ გვერდით ვხვდებით ისეთ მოხსენებებსაც, რომელთა მოსმენა, თავისი დაბალი მეცნიერული დონის გამო, დროის ფუჭად დაკარგვად უნდა ჩაითვალოს. ასეთია, მაგალითად, დ. შ. მოდებაძის მოხსენება — „მეტყველების კულტურის საკითხები საშუალო სკოლაში“. ჯერ ერთი, თვით თემის სათაურია არასწორად ფორმულირებული და, მეორეც, მოხსენების შინაარსი აშკარად მეტყველებს, რომ თვით მის პატრონს დასჭირდება იზრუნოს საკუთარი მეტყველების კულტურის ამაღლებაზე. ასეთ შემთხვევაში მეტი სიფხიზლე მართებთ მეთოდისტსა და სექციის ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტში შექმნილია ავტ. თვე გერმანული და ინგლისური ენების მასწავლებელთა მეთოდგ. ერთიანება (ხელმძღვანელები ვ. კაპანაძე და ნ. ქავთარაძე). ბიბლიოთეკა მასალები, მოყოლებული 1968 წლიდან, ერთად არის შენახული. ყველა გეგმა ერთ რვეულშია მოთავსებული და ყოველწლიურად მხოლოდ ორი სხდომაა ჩატარებული—აგვისტოსა და იანვრის თვეში. რაიონის უცხოური ენების მასწავლებლებს შორის არ არის დანერგილი გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით, არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლები არ ეცნობიან თანამედროვე მეთოდიკას, მეთოდკაბინეტის სტენდზე გამოკრული იყო 1967 წ. გამოშვებული შ. შათირიშვილის ბროშურა „გრამატიკის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლაში". მეთოდკაბინეტში არ აღმოჩნდა ჟურნალის „უცხოური ენები სკოლაში" არც ერთი ნომერი. ასევე დაბალ დონეზეა შესრულებული მასწავლებელთა რეფერატები, რომელთაგან რაიმე მეთოდური დახმარების მიღება შეუძლებელია. მაგ.: „როგორ მივიყვანოთ ბავშვები ახალი სიტყვების გაგებამდე", დედაენისა და რუსულის გავლენა გერმანული ზეპირმეტყველების ჩვევის გამომუშავების პროცესში". რეფერატში „V კლასში ახალი სახელმძღვანელოს თავისებურებანი"—სახელმძღვანელო კი არ არის განხილული, არამედ, უბრალოდ, აღნუსხულია მასში მოცემული სავარჯიშოები და პარაგრაფები და ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, თუ როგორ უნდა იმუშაონ ამ სახელმძღვანელოთი. ინგლისურ ენაში არც ერთი საკითხი არ არის დამუშავებული. შედარებით დამაკმაყოფილებელი იყო ფრანგული ენის მასწავლებლის მიერ დაწერილი თემა „კლასგარეშე მუშაობის საკითხები", „სწორ კითხვასა და წარმოთქმაზე მუშაობის გზები და მეთოდები". საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის ასეთმა მუშაობამ განაპირობა ის, რომ უცხოური ენის მასწავლებლები ძველი მეთოდით მუშაობენ, არ იცნობენ სწავლების თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებს.

სკოლასთან არსებული დ/კლასების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების გეგმებში ასახული თემატიკა ძირითადად დამაკმაყოფილებელია, პრაქტიკული ხასიათისაა. მაგრამ, აღნიშნულ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა მაინც ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. ხელმძღვანელებს არა აქვთ მასწავლებელთა აღრიცხვისა და დემოგრაფიული ცნობების ჟურნალი. ოქმში თითქმის არაფერია ნათქვამი, თუ რა აზრი და რა შენიშვნები გამოითქვა დამუშავებული თემის ირგვლივ, რა

წინადადებები იქნა წამოყენებული მეთოდგაერთიანების წევრთა მიერ. თემაში თითქმის არ არის არც ერთი მაგალითი მასწავლებლის ინიციატივი და გამოცდილებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის მეთოდკაბინეტი (დ/კლ. მეთოდისტი ც. ქავთარაძე) სუსტად ახორციელებს კონტროლს სკოლებში მეთოდგაერთიანებათა მუშაობაზე. გაკვეთილების მცირე რაოდენობაა მოსმენილი სკოლის ხელმძღვანელების მიერ. ანალიზებში გამოკვეთილად არ ჩანს, თუ რა იყო გაკვეთილის დადებითი და უარყოფითი მხარე, რა ძირითად საკითხვებზე უნდა გაამახვილის მასწავლებელმა ყურადღება.

რაიონულ მეთოდგაერთიანებას რუსულ ენაში ხელმძღვანელობს საჩხერის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი რუფაიანის ასული ღონღაძე, მას აქვს რაიონში მომუშავე რუსული ენის მასწავლებელთა აღრიცხვა, საერთო ცნობები მათ შესახებ, სამუშაო გეგმა, მასწავლებელთა მიერ დამუშავებული თემები და მოხსენებები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ მთელი რიგი თემებისა დაწერილია უწიგნურად, შეცდომებით, უსულგულოდ, ატარებს ფორმალურ ხასიათს. ასე მაგალითად, საჩხერის პირველი საშ. სკოლის მასწავლებელს (?) დაუმუშავებია საკითხი: „გაკვეთილის აგებულება" (О построении урока)—ეს არის ნიმუში საქმისადმი უსულგულო და ფორმალური დამოკიდებულებისა: 2 გვერდზე ჩამოთვლილია გაკვეთილის ცალკეული მომენტები, მთელ რიგ ნამუშევრებზე (წინა ხლებისა) აწერია მხოლოდ თემა, ხოლო ვინ დაამუშავა, რომელი სკოლის მასწავლებელია, რომელ სასწავლო წელს—არ არის მონიშნული. ძალზე უწიგნურად და შეცდომებით არის დაწერილი მახათაურის 8-წლიანი სკოლას მასწავლებელ მ. გელაშვილის მოხსენება თემაზე: „თვალსაჩინოების გამოყენება მე-5 კლასში", ასევე სამარცხვინოდ არის დაწერილი თემა: „ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადის" ცალკეული ნაწყვეტების შესწავლა X კლასში", ვის ეკუთვნის ეს ნამუშევარი, ვერ დავადგინეთ. ასეთი ფორმალური მიდგომა მეთოდგაერთიანების მუშაობისადმი ყოვლად დაუშვებელია, აქ ნათლად ჩანს, რომ მეთოდგაერთიანება ვერ ასრულებს თავის ძირითად ამოცანას: არ არის გაშლილი მუშაობა მასწავლებელთა თვითგანათლების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ვერ ხერხდება მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, საჩვენებელი ღია გაკვეთილების ჩატარება.

ტექნიკური საშუალებების, თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენების გარეშე დღევანდელი გაკვეთილი ძნელად წარმოსადგენია. მიუ-

ხედავად ამისა, ბრიგადის წევრებს გაუჭირდათ ენახათ გაკეთილი, სადაც ყველაფერი ეს იქნებოდა. ამ საქმის გამოსწორებისათვის უნდა ზრუნავდეს ფილმოტეკა (გამგე თ. სადუნიშვილი), მაგრამ ამ-ქალაქის ფართის უქონლობა იმის შესაძლებლობასაც კი არ იძლევა, რომ ფილმები დამუშავდეს და სკოლებმა იგი დროულად გამოიყენონ. გარდა ამისა, საჭირო სასწავლო ფილმების მცირე რაოდენობის გამო, ყველა სკოლას არ ძალუძს ამ ტექნიკურ საშუალებათა სიკეთით სარგებლობა. თვითონ ფილმოტეკის გამგე ახალი მუშაკია და უეჭველად საჭიროებს ამ საქმეში გათვითცნობიერებას.

შემოწმების მასალები სრულად წარმოგვიდგენს საჩხერის რაიონის სკოლების მუშაობის ავ-კარგს. ჩანს, განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბრიგადის წევრებს საჭიროდ მიაჩნიათ საკითხი განხილულ იქნეს განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.

ნ. გიორგობიანი
თ. მელქაძე
მ. დევდარიანი
თ. ავალიშვილი
ზ. ოდიშარია

ნ. ახვლედიანი
გ. გიორგობიანი
ნ. ბენდიანიშვილი
ლ. ჯანიაშვილი
ი. უგულავა
ე. ქურციკიძე (ხელმძღვანელი)

Кр. 53/7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 1065—სკოლის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო დადგენილებათა შესრულების შესახებ საჩხერის_რაიონში . . . .